



---

# ბორჯომის ადგილობრივი განვითარების სტრატეგია

---

2016-2019



1 ივნისი, 2016

ბორჯომის განვითარების ჯგუფი  
[www.borjomilag.ge](http://www.borjomilag.ge);

# შინაარსი

1.	რეზიუმე.....	4
2.	ბორჯომის მუნიციპალიტეტის ზოგადი მიმოხილვა.....	5
3.	განვითარების საჭიროებების ანალიზი.....	7
3.1	რეგიონის აღწერა.....	7
3.1.1	მოსახლეობა.....	7
3.1.2	სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა .....	8
3.1.3	განათლება და კვალიფიკაცია .....	9
3.1.4	სოფლის მეურნეობა .....	10
3.1.5	ბიომრავალფეროვნება.....	10
3.1.6	ტყე.....	11
3.1.7	ტურიზმი და რეკრეაცია.....	11
3.1.8	ინფრასტრუქტურა .....	12
3.1.9	ჯანდაცვის სისტემა.....	13
3.1.10	კულტურული / სოციალური დაწესებულებები და საქმიანობები .....	14
3.1.11	სამოქალაქო ჩართულობა და სამოქალაქო ასოციაციები .....	14
3.1.12	ადგილობრივი ხელისუფლების სტრუქტურა.....	15
3.2	განვითარების პრიორიტეტების და საჭიროებების განსაზღვრა .....	16
3.2.1	მიმოხილვა.....	16
3.2.2	რეგიონული და ეროვნული სტრატეგიის დოკუმენტები .....	16
3.2.3	ინტერვიუები ადგილობრივ საზოგადოებასთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.....	17
3.2.4	SWOT ანალიზის პროცესი და საჭიროებების შეფასება.....	17
3.3	ადგილობრივი განვითარების საჭიროებების განსაზღვრა.....	23
4.	ადგილობრივი განვითარების სტრატეგია .....	24
5.	ორგანიზაციული სტრუქტურა .....	34
5.1	ბორჯომის განვითარების ჯგუფი .....	34
5.2	ბორჯომის განვითარების ჯგუფის წევრობა .....	35
5.3	პროექტის შეფასების საკონსულტაციო ჯგუფი.....	35
5.4	ბორჯომის განვითარების ჯგუფის როლი ქვე-პროექტების შერჩევაში .....	36
5.5	ინტერესთა კონფლიქტი.....	36
5.6	„ლიდერ“ კოორდინატორი .....	37
5.7	ანგარიშვალდებული ორგანო .....	38
6.	საგრანტო განაცხადის პროცესი.....	38
6.1	ანიმაციის პროცესი .....	38

6.2	საგრანტო თანხები და თანადაფინანსება.....	38
6.3	განაცხადის წარდგენისა და შერჩევის პროცესი .....	39
6.4	ხელშეკრულებაზე ხელმოწერა და შესყიდვების პროცესი.....	44
6.5	შერჩევის გამჭვირვალობა და საჩივრების მექანიზმი .....	45
6.6	განაცხადების, შეფასებების და შერჩევის პროცესების გზამკვლევი.....	45



## დაფინანსებულია ENPARD-ის მიერ - ევროკავშირის პროგრამა სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის

ადგილობრივი განვითარების სტრატეგია შემუშავდა "სოფლის განვითარების ახალი მიდგომა საქართველოში" პროექტის ფარგლებში რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირის პროგრამა ENPARD - ის მიერ და ხორციელდება საერთაშორისო არაკომერციული ორგანიზაცია „მერსი კორპს“-ის მიერ. ტექნიკური მხარდაჭერა უზრუნველყოფილია ავსტრიის მაღალმთიანი რეგიონებისა და ნაკლებად მისაღწევი ადგილების ფედერალური ინსტიტუტის (BABF) მიერ, რაშიც ასევე დამატებითი წვლილი შეიტანეს პროექტის პარტნიორებმა, ანგუსის საბჭომ შოტლანდიიდან და ბორჯომის მუნიციპალიტეტმა.



## 1. რეზიუმე

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი განვითარების სტრატეგია წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ეკოლოგიური განვითარების ხელშეწყობისა და მისი მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების ხედვას. ადგილობრივი განვითარების სტრატეგია შემუშავებული იქნა ბორჯომის მოსახლეობის ფართო ფენებთან და განსაკუთრებით, ბორჯომის განვითარების ჯგუფის წევრებთან კონსულტაციების მეშვეობით. ბორჯომის განვითარების ჯგუფი შედგება 28 წევრისგან, რომლებიც არიან საჯარო და კერძო სექტორიდან და წარმოადგენენ ისეთ დარგებს, როგორცაა ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, სპორტი, კულტურა, გარემოს დაცვა. ისინი მუშაობენ ადგილობრივ მუნიციპალიტეტში, სახელმწიფო უწყებებში, კერძო ბიზნესში, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სამოქალაქო საზოგადოების სხვა ორგანიზაციებში.

ადგილობრივი განვითარების სტრატეგია შემუშავდა "სოფლის განვითარების ახალი მიდგომა საქართველოში" პროექტის ფარგლებში რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირის პროგრამა ENPARD - ის მიერ და ხორციელდება საერთაშორისო არაკომერციული ორგანიზაცია „მერსი ქორფს“-ის მიერ. ტექნიკური მხარდაჭერა უზრუნველყოფილია ავსტრიის მაღალმთიანი რეგიონებისა და ნაკლებად მისაღწევი ადგილების ფედერალური ინსტიტუტის (BABF) კონსულტანტების მიერ, რაშიც ასევე დამატებითი წვლილი შეიტანეს პროექტის პარტნიორებმა, ანგუსის საბჭომ მოტლანდიიდან და ბორჯომის მუნიციპალიტეტმა.

ადგილობრივი განვითარების სტრატეგია აანალიზებს გამოწვევებსა და შესაძლებლობებს ბორჯომის მუნიციპალიტეტში და სახავს ამოცანებს მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. ბორჯომის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის ძირითადი მიზანია:

**გაუმჯობესდეს ბორჯომის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხი და ბორჯომი გახდეს უფრო მიმზიდველი ადგილი ვიზიტორებისა და ტურისტებისთვის**

ამ მიზნის მისაღწევად განისაზღვრა ოთხი ამოცანა, რომლიც წარმოადგენს ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის საფუძველს:

- *ტურიზმის წვლილის გაზრდა ადგილობრივ ეკონომიკაში, რაც მას მისაზამ მოდელად აქცევს მთელი საქართველოსათვის.*
- *სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის გაზრდა და დივერსიფიკაცია, აგრეთვე პროფესიული ცოდნის დონის ამაღლება, რაც ხელს შეუწყობს ფერმერულ მეურნეობებს, გახდნენ უფრო მიმზიდველი და ამავდროულად, მომგებიანი ბიზნესები.*
- *სპორტული და კულტურული საქმიანობების გაძლიერება, რომელიც ხელს შეუწყობს ცხოვრების დონის ამაღლებას და გაზრდის საკუთარი კუთხის სიყვარულს.*
- *გარემოს დაცვა ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენებით, მიწისა და ნარჩენების ეფექტური მართვა და ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის გააქტიურებას გარემოს დაცვის კუთხით.*

ადგილობრივი განვითარების წინამდებარე სტრატეგია ქმნის მხარდამჭერ სტრუქტურას სოციალური და ეკონომიკური ინიციატივების ფართო სპექტრის შესამუშავებლად, რაც ხელს შეუწყობს ძირითადი მიზნისა და ამოცანების რეალიზაციას. ზემოხსენებული ENPARD-ის პროექტის მიერ "სოფლის განვითარების ახალი მიდგომა საქართველოში" გამოყოფილია თანხები იმისათვის, რომ მან მხარი დაუჭიროს ისეთ სოციალურ-ეკონომიკურ ინიციატივებს, რომელიც შეესაბამება ადგილობრივი განვითარების სტრატეგიას. ამ საგრანტო თანხების კონტროლს განახორციელებს ბორჯომის განვითარების ჯგუფი. იგი არის გადაწყვეტილების მიმღები ძირითადი ორგანო, რომელიც აფასებს და არჩევს დასაფინანსებელ პროექტებს. სრული ინფორმაცია ბორჯომის განვითარების ჯგუფისა და საგრანტო კომპონენტის პირობების შესახებ წარმოდგენილია ადგილობრივი განვითარების სტრატეგიაში.

## 2. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ზოგადი მიმოხილვა

ბორჯომის მუნიციპალიტეტი სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ნაწილია და სამხრეთ საქართველოში მდებარეობს. იგი განლაგებულია მცირე კავკასიონის მთების - მესხეთისა და თრიალეთის მთათა ზონაში და მისი ფართობია დაახლოებით 1,189 კმ<sup>2</sup>. ბორჯომის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა პუნქტებს შორის სიმაღლის ცვალებადობა აღემატება 1500 მეტრს ზღვის დონიდან. მთავარი ქალაქი ბორჯომი მდებარეობს 800-950 მეტრზე ზღვის დონიდან და მთათა ზონა აღწევს 2500 მეტრს ზღვის დონიდან. მისი გეოგრაფიული ადგილმდებარეობა მოიცავს სამ სხვადასხვა კლიმატურ ზონას ტემპერატურისა და ნალექების თვალსაზრისით - ნოტიო კოლხური ზონა, კავკასიის ზომიერი ცენტრალური ზონა და კავკასიის მშრალი კონტინენტური ზონა. მანძილი მუნიციპალიტეტიდან რეგიონულ ცენტრ ახალციხემდე არის 50 კმ და ქვეყნის დედაქალაქ თბილისამდე კი 157 კმ.


რუკა N1: ბორჯომის მუნიციპალიტეტის მდებარეობა საქართველოში



მუნიციპალიტეტი დაყოფილია 11 ტერიტორიულ ერთეულად. ეს ტერიტორიული ერთეულებია: ქალაქი ბორჯომი, 3 დაბა (ახალდაბა, ბაკურიანი, წაღვერი) და სოფლებისგან შემდგარი 7 ტერიტორიული ერთეული (ტაძრისი, ყვიბისი, ტბა, დვირი, ტბაწყური, ბალანთა და ციხისჯვარი), ზოგიერთი ტერიტორიული ერთეული მოიცავს ერთ, ან მეტ სოფელს (იხ. რუკა N2). სულ მუნიციპალიტეტის საზღვრებში 33 სოფელია, აქედან 22-ს უფლება აქვს მიიღოს დამატებითი სარგებელი და პრივილეგია ახლახანს მიღებული „მთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ კანონის თანახმად (2015). 2002 წელს მოსახლეობის აღწერის მიხედვით

მუნიციპალიტეტის მოსახლეობამ შეადგინა 32.422 მაცხოვრებელი, თუმცა 2014 წლის აღწერის წინასწარ შედეგებზე დაყრდნობით მოსახლეობა შემცირდა 21.100 მაცხოვრებლამდე.

რუკა N2: ბორჯომის მუნიციპალიტეტის ქალაქები და ტერიტორიული ერთეულები



მუნიციპალიტეტი მდიდარია ბუნებრივი რესურსებით - კერძოდ, მინერალური წყლებით, დიდი ტყის მასივებითა და ბიომრავალფეროვნებით მდიდარი სამოვრებით, ტბებითა და წყლის რესურსებით. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დიდი ნაწილი (85,000 ჰა), მდებარეობს მუნიციპალიტეტის საზღვრებში. ბორჯომში არსებული მრავალფეროვანი კლიმატი და ნალექების რაოდენობა ასახულია სხვადასხვა ტიპის ფლორასა და ტყეებზე მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით. ტყის ფართობი მოიცავს დაახლოებით 63.200 ჰა-ს, ანუ მთელი ტერიტორიის 57%-ს. კლიმატის შესაბამისად აქ არის როგორც შერეული, ასევე წიწვოვანი ტყეები. ამ მთაგორიანი ლანდშაფტის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თავისებურებაა სათიბები და სამოვრები. სამოვრების გაუარესება სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ბორჯომის მუნიციპალიტეტში, რადგან მათი პროდუქტიულობა მკვეთრად შემცირდა ბოლო ათწლეულის განმავლობაში. როტაციული წესით მოვების არარსებობამ გამოიწვია ნიადაგის ეროზია და საკვების მოცულობის შემცირება. სხვადასხვა ანალიზები აჩვენებს, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტის 13,4% არასტაბილურ ლანდშაფტს წარმოადგენს, რაც მიუთითებს მნიშვნელოვან საფრთხეზე. ასეთი ადგილები გვხვდება დასახლებების მიმდებარედ, სუბალპური და მაღალმთიანი ტყის მდინარეების ხეობებში, განსაკუთრებით კი ანთროპოგენური ზემოქმედების ზონებში.

ბორჯომის ხეობის ერთ-ერთი მთავარი სიმდიდრეა სამკურნალო მინერალური წყლები, აქ არის ძალიან ბევრი ბუნებრივი წყარო. ეს მინერალური წყლები გამოიყენება როგორც სამკურნალოდ, ასევე სასმელი წყლის სახით მთელ საქართველოში და საზღვარგარეთ. ას წელზე მეტია, რაც მინერალური წყლის ჩამოსხმა წარმოადგენს შემოსავლის ძირითად წყაროს

მუნიციპალიტეტისათვის. ამჟამად ბორჯომის მუნიციპალიტეტი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ტურისტული ცენტრია საქართველოში. მე-19 საუკუნიდან ტურიზმი არის პრიორიტეტული დარგი მუნიციპალიტეტისთვის. აქ არის სანატორიუმები, სადაც მოწყობილია სარეკრეაციო-სამკურნალო დაწესებულებები, რომლებიც იყენებენ ბუნებრივ სამკურნალო წყლებს. დაბა ბაკურიანში მოწყობილია სათხილამურო ინფრასტრუქტურა. მრავალი ისტორიული და კულტურული ძეგლი მდებარეობს ისეთ დაბებსა და სოფლებში, როგორცაა ახალდაბა, წალვერი, ცემი და კეჩხოზი.

### 3. განვითარების საჭიროებების ანალიზი

#### 3.1 რეგიონის აღწერა

##### 3.1.1 მოსახლეობა

2002 წელს ბორჯომის მუნიციპალიტეტში იყო 32,422 მკვიდრი, აქედან დაახლოებით 48% მამაკაცი და 52% ქალი. ქალაქ ბორჯომის მოსახლეობა იყო დაახლოებით 14.445 მოსახლე, რამაც შეადგინა მოსახლეობის 45%, ხოლო დანარჩენი 55% ცხოვრობდა მუნიციპალიტეტის სოფლებში<sup>1</sup>. 2002 წლიდან საქართველოს მოსახლეობა, როგორც ჩანს, მკვეთრად შემცირდა. 2014 წლის აღწერის წინასწარი მონაცემების თანახმად მოსახლეობა შემცირდა 25.100 ადამიანამდე (იხ. ცხრილი N1). ეს ნიშნავს, რომ მოსახლეობის რაოდენობა შემცირდა თითქმის ერთი მეოთხედით (22.6%). სამწუხაროდ, ამ დროისთვის არ არსებობს ახალი აღწერის დეტალური მონაცემები მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რაოდენობაზე საცხოვრებელი ადგილის, ასაკის და სქესის მიხედვით.

ცხრილი N1: საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის აბსოლუტურ მაჩვენებელი და პროცენტული ცვლილებები 2002-2015 წლებში<sup>2</sup>

ადგილი	2005	2015*	% ცვლილებები 2002-2015 წლებში
საქართველო	4,371,535	3,729,500	-14.7
თბილისი	1,081,679	1,118,300	+3.4
სამცხე-ჯავახეთი	207,598	160,300	-22.8
ბორჯომის მუნიციპალიტეტი	32,422	25,100	-22.6

მონაცემები ეფუძნება 2014 წლის 5 ნოემბრის მოსახლეობის აღწერის წინასწარ შედეგებს და ბუნებრივ და მიგრაციულ ბალანსს 2014 წლის ბოლო 2 თვის განმავლობაში.

მოსახლეობის შემცირების მიზეზები დაკავშირებულია დედაქალაქ თბილისსა და უცხო ქვეყნებში მიგრაციასთან, რაც გამოწვეულია მუნიციპალიტეტში განათლების მიღების შეზღუდული შესაძლებლობებით და უმუშევრობის მაღალი დონით. ამ ქვეყნებში მიგრანტები ხშირად მუშაობენ მცირე საწარმოებში, შინამეურნეობებში ან სეზონურ მუშებად. ცნობილია, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მნიშვნელოვან კლებას ფუნდამენტურად არ შეუცვლია ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას შორის ურთიერთობები.

<sup>1</sup> დანართში N1 მოცემულია აღწერის მონაცემები ბორჯომის და მისი ტერიტორიული ერთეულების მოსახლეობის შესახებ, ისევე როგორც ასაკისა და სქესის მიხედვით დაყოფის შესახებ  
Annex 1 provides census data on the population of Borjomi and its territorial units as well as a disaggregation by age and gender

<sup>2</sup> წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, [http://www.geostat.ge/?action=page&p\\_id=473&lang=eng](http://www.geostat.ge/?action=page&p_id=473&lang=eng); [http://unstats.un.org/unsd/demographic/sources/census/2010\\_phc/Georgia/GEO-2015-05-04.pdf](http://unstats.un.org/unsd/demographic/sources/census/2010_phc/Georgia/GEO-2015-05-04.pdf)

2002 წლის აღწერიდან ჩანს, რომ ასაკობრივი განაწილება ბორჯომის მოსახლეობაში სათანადოდ შეესაბამება ეროვნულ განაწილებას: მოსახლეობის 21.2% განეკუთვნება 0-14 წლამდე ასაკობრივ ჯგუფს (საქართველო: 17,6%), 14.3% კი 15-24 წლამდე ასაკობრივ ჯგუფს (საქართველო: 14.0%), 40.2% 25-54 წლამდე ასაკობრივ ჯგუფს (საქართველო: 40.9%), ხოლო 9,5% 55-64 წლამდე ასაკობრივ ჯგუფს (საქართველო: 12.2%) და 15.0% > 65 წლამდე ასაკობრივ ჯგუფს (საქართველო: 15.3%).

რაც შეეხება ქალთა და მამაკაცთა პროპორციას მუნიციპალიტეტში, ის დაბალანსებულია 24 წლის ასაკამდე, თუმცა ქვემოთ ჩამოთვლილ ასაკობრივ ჯგუფებში მამაკაცების პროცენტული მაჩვენებელი მუნიციპალიტეტში მცირდება ასაკის ზრდასთან ერთად. მაგალითად, 45-54 წლის ასაკობრივ ჯგუფში მამაკაცები შეადგენენ საერთო მოსახლეობის მხოლოდ 43%-ს. ამის ერთ-ერთი მიზეზი არის მამაკაცების დიდი რაოდენობა, რომელიც მიდის ემიგრაციაში სამუშაოს სამეზობლოდ საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ, რათა გამოუგზავნონ საარსებო თანხა თავის ოჯახს.

ბორჯომი ასევე ხასიათდება ეთნიკური მრავალფეროვნებით. მუნიციპალიტეტში ცხოვრობს ორჯერ მეტი ეთნიკური სომეხი (12%), ვიდრე საშუალოდ საქართველოში და მოსახლეობის დაახლოებით 4%-ს შეადგენენ ეთნიკური ბერძნები. ეთნიკური უმცირესობები კომპაქტურად არიან დასახლებული გარკვეულ სოფლებსა და ადგილებში. ბერძნული უმცირესობა ცხოვრობს ქალაქ ბორჯომში და სოფელ ციხისჯვარში, ხოლო სომეხები ცხოვრობენ ბორჯომში და ახალქალაქის მოსაზღვრედ ბორჯომის მაღალმთიან სამხრეთ ნაწილში. ამასთან ერთად, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში განსახლებულია 2,448 იძულებით გადაადგილებული პირი სამხრეთ ოსეთიდან, რომელთა უმეტესობა ცხოვრობს ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ძირითადად ქალაქ ბორჯომში, დაბა ბაკურიანსა და ბაკურიანის ანდეზიტში.

### 3.1.2 სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა

ბორჯომის მუნიციპალიტეტს ჰყავს აქტიური სამუშაო ძალა, რომელიც შეადგენს მთელი ზრდასრული მოსახლეობის დაახლოებით 65%-ს. ხალხის უმრავლესობა დასაქმებულია IDS ბორჯომში (მინერალური წყლის ჩამომსხმელი ქარხნები), სასტუმროებსა და საოჯახო სასტუმროებში, სოფლის მეურნეობაში (მცირე ფერმები), მშენებლობაში, გადამამუშავებელ მრეწველობასა და საცალო ვაჭრობაში. მუნიციპალიტეტში არსებობს მხოლოდ ერთი დიდი დამსაქმებელი და ეს არის IDS ბორჯომის მინერალური წყლის ჩამომსხმელი ქარხნები, სადაც დაახლოებით 200 თანამშრომელია. მუნიციპალიტეტში დღეისათვის დარეგისტრირებულია დაახლოებით 300 მცირე და საშუალო საწარმო, რომელებიც ძირითადად მუშაობენ ტურიზმის სექტორში. ამჟამად აქ ფუნქციონირებს ორი 5 ვარსკვლავიანი სასტუმრო, ერთი 4 ვარსკვლავიანი და სამი 3-ვარსკვლავიანი სასტუმრო, უამრავი პატარა სასტუმრო და საოჯახო სასტუმრო, ძირითადად ბორჯომში, ბაკურიანში, წალვერში, ცემში, ტბასა და სადგერში. ამას გარდა, მუშაობს სხვა სახის მცირე და საშუალო ბიზნესი, რომელიც ასევე იღებს სარგებელს ტურისტული ვაჭრობიდან, მათ შორის გასართობი და სამკურნალო დაწესებულებები, სპა-ცენტრები, ოთხი სანატორიუმი და რესტორნები. მცირე საწარმოებში შედიან სამშენებლო ბიზნესები, საცალო ვაჭრობის ობიექტები, პურის საცხობები და სარემონტო/ტექნიკური კომპანიები. ამ საწარმოების გარდა, სატყეო და სოფლის მეურნეობის სექტორები ასევე წარმოადგენენ ძირითად დამსაქმებლებსა და შემოსავლის წყაროს ბორჯომის მუნიციპალიტეტში. ეს მცირე და საშუალო საწარმოები ქმნიან დაახლოებით 1,200 სამუშაო ადგილს. მუნიციპალიტეტის ბუნებრივი და კლიმატური პირობების გათვალისწინებით ეს სექტორები მომავალი ეკონომიკური



განვითარების ძირითად მამოძრავებელ ძალად ითვლება, რაც მოიცავს ტურიზმის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, დაცული ტერიტორიების განვითარებას, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდასა და დივერსიფიკაციას, აგრეთვე ტყის არამერქნული პროდუქტების გამოყენებას.

გარდა ამისა, დაახლოებით 875 ადამიანია დასაქმებული საჯარო სამსახურებში. ასევე ბევრი ადამიანია თვითდასაქმებული სასოფლო-სამეურნეო სექტორში. თუმცა, გასულ წლებში სახელმწიფოს მიერ მართული საწარმოების დახურვის გამო, როგორც იყო ავეჯის ქარხანა, მინის ტარის ქარხანა და სასაკლაოები, უმუშევრობის დონე ბორჯომის მუნიციპალიტეტში მაინც მაღალია. არ მოიპოვება მონაცემები ხელფასის დონის შესახებ მუნიციპალიტეტში, თუმცა 2011 წლის სტატისტიკური მონაცემებით სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ოჯახის ყოველწლიური შემოსავალი საშუალოდ 857 ლარს<sup>3</sup> შეადგენდა. შემოსავლის წყაროები ძირითადად იქმნება სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებიდან (30%), სრული განაკვეთით დასაქმებიდან (25%), საჯარო ინსტიტუტების მიერ გადახდილი სატრანსფერო გადასახადებიდან (პენსია, სოციალური დახმარებები და ა.შ.) (19%), ფულადი გზავნილებიდან (8%), ნათესავებისაგან მიღებული ფულიდან (9%), თვითდასაქმების, გაქირავების, ანაზრებისა და სხვა დანაზოგებიდან მიღებული თანხებიდან.

რაც შეეხება პენსიასა და სოციალურ დახმარებას, მუნიციპალიტეტის მონაცემებით, ამჟამად 5.816 მაცხოვრებელი იღებს პენსიას, რაც შეადგენს მთლიანი მოსახლეობის 22%-ს და 1,432 პირი იღებს სოციალური დახმარების პაკეტს, რაც შეადგენს მოსახლეობის 7%-ს. რადგან მუნიციპალიტეტის 22 სოფელი კლასიფიცირდება, როგორც მთიან რეგიონებში მდებარე, მათ შეუძლიათ მიიღონ დამატებითი საოჯახო დახმარება, გაზრდილი ანაზრების ტარიფები მასწავლებლებისა და სამედიცინო პერსონალისთვის, ხოლო ბიზნესები და ინვესტორები ისარგებლებენ საგადასახადო შეღავათებით.

### 3.1.3 განათლება და კვალიფიკაცია

ბორჯომის მუნიციპალიტეტში არის 21 საჯარო სკოლა; აქედან 6 დაწყებითი და 15 საშუალო. მუნიციპალიტეტში სულ არის 11 საბავშვო ბაღი და ერთი კერძო სკოლა-ლიცეუმი. ბოლო 5 წლის განმავლობაში ორი ახალი სკოლა აშენდა და აღიჭურვა ახალი სასკოლო ნივთებით და 10 არსებული სკოლა ნაწილობრივ გარემონტდა. მიუხედავად ამისა, ბევრი სკოლა რჩება ცუდ მდგომარეობაში და ესაჭიროება სარემონტო სამუშაოები. ათი საჯარო სკოლა ჩართულია ინკლუზიური სწავლების პროგრამაში, მაგრამ მხოლოდ ერთი მათგანი არის ადაპტირებული ინკლუზიური განათლებისთვის. ამ სკოლებში სწავლობს 44 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი.

ბოლო წლებში კვალიფიციური და სერტიფიცირებული მასწავლებლების რაოდენობა გაიზარდა და მიაღწია 570 პედაგოგს, რომლებიც მუშაობენ ბორჯომში და ასწავლიან 5,200 მოსწავლეს. მუნიციპალიტეტის ყველა სოფელს არ გააჩნია საკუთარი სკოლა, შესაბამისად, ხელისუფლება უზრუნველყოფს სკოლის ავტობუსებს, რითაც ხდება სოფლის ბავშვების ტრანსპორტირება მიმდებარე სკოლებში. არ არსებობს უმაღლესი განათლების სასწავლებლები და კოლეჯები მუნიციპალიტეტში და ახალგაზრდების უმეტესობა მიდის ახალციხესა და თბილისში უმაღლესი განათლების მისაღებად.

<sup>3</sup> სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური განვითარების სტრატეგია 2014-2021

### 3.1.4 სოფლის მეურნეობა

1990 წლიდან ისევე, როგორც დანარჩენ საქართველოში სურათი იყო შემდეგი: გრძელდებოდა სოფლის მეურნეობის წარმოების შემცირება. წარმოების შემცირების ძირითადი მიზეზები გახლდათ: მიწის ფრაგმენტაცია, რაც მოხდა პრივატიზაციის შედეგად; ცოდნისა და ტექნოლოგიების გავრცელების ნაკლებობა; სოფლის მეურნეობის საწარმოო მასალების მაღალი ხარჯები, ფინანსებსა და დაზღვევაზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა, თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით მომსახურების არარსებობა, სუსტი კავშირი ბაზრებთან, სავაჭრო ემბარგოები და ზოგადად, სოფლის გაუარესებელი ინფრასტრუქტურა.

გარდა ამისა, ბორჯომის მუნიციპალიტეტში დამატებითი დაბრკოლებას სახნავი მიწების შეზღუდული რაოდენობა, რის გამოც სავსე კულტურების დიდ ფართობზე წარმოების შესაძლებლობებიც შეზღუდულია. 42.376 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის მთლიანი რაოდენობიდან მხოლოდ 4.090 ჰა გამოიყენება სახნავად და მათგან მარტო 180 ჰა - მრავალწლიანი კულტურებისთვის<sup>4</sup>. დარჩენილი მიწის ფართობი წარმოადგენს უპირატესად მდელოებსა და საძოვრებს. სასოფლო-სამეურნეო მიწის დეფიციტს ნათლად გვიჩვენებს ფერმერების საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების მცირე ზომები, მათი უმრავლესობა (73%) ამუშავებს 1 ჰა-ზე ნაკლებს. 1-3 ჰა მიწის მფლობელი ფერმერების პროპორციული რაოდენობა ბორჯომის მუნიციპალიტეტში სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით ყველაზე დაბალია.

შემოსავლის მთავარი წყარო სოფლის მეურნეობაში არის მეცხოველეობა, რძის წარმოება, ისევე როგორც ზოგიერთი ბოსტნეული და მარცვლეული კულტურის წარმოება. ამ ფერმერებიდან მოსახლეობის დაახლოებით 80% ჩართულია მცირე, არაკომერციულ სოფლის მეურნეობაში. პირუტყვის გარდა ყველაზე მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი არის კარტოფილი, რომლის წარმოებამაც 2014 წელს 6.710 ტონა შეადგინა. ცოტა ხნის წინ გადაიდგა ნაბიჯი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დივერსიფიკაციის მიზნით კენკრის წარმოებისა და სათბურის პირობებში წარმოებული პროდუქციის მიმართულებით. გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით 60.000 მარწყვისა და 4.000 ჟოლოს ნერგი დაირგო სოფლებში: დაბა, წაღვერი, ტიმოთესუბანი და მზეთამზე და ცოტა ხნის წინ სოფელ დაბასა და ტბაში სამი კომერციული სათბური აშენდა. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტში არსებობს ექვსი თევზსაშენი, რომლებიც წელიწადში აწარმოებს 28,5 ტონა თევზს. კიდევ ერთი ნაბიჯი, რომელიც გადაიდგა კომერციული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისათვის, იყო 15 კოოპერატივის შექმნა, რომლებიც იმუშავებს კენკრის წარმოებისა და მეფუტკრეობის მიმართულებით. ეს კოოპერატივები საკუთარი პროდუქციით პირველ რიგში ემსახურებიან ტურისტულ ინდუსტრიას ბორჯომში, თუმცა ასევე გადიან დედაქალაქის ბაზრებზეც.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი მრეწველობა ბორჯომში პრაქტიკულად არ არსებობს და რადგან ბიზნესი ნაკლებადაა ჩართული ამ სფეროში, მომსახურების მომწოდებლებს ეძლევათ მეტი შესაძლებლობები.

### 3.1.5 ბიომრავალფეროვნება

საქართველო მიიჩნევა როგორც ერთ-ერთი ნათელი წერტილი მსოფლიოს საერთაშორისო კონსერვაციაში ბიოლოგიური თვალსაზრისით, ბორჯომის მუნიციპალიტეტი ბიომრავალფეროვნებით და ენდემიზმით და თავისი დაცული ტერიტორიებით და პარკებით თავის მასშტაბებიდან გამომდინარე არის გამორჩეული მთელს სამხრეთ კავკასიაში. ამ ტერიტორიებში შედის: ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, ნემვის აღკვეთილი, ქცია-

<sup>4</sup> ბორჯომი ICC-ის მიერ მოწოდებული მონაცემები

ტაბაწყურის ადკვეთილი და თეთრობის ადკვეთილი. ამ პარკებსა და დაცულ ტერიტორიებში გვხვდება მრავალი სახეობის ფლორა და ფაუნა და მალღმთიანი ტყეებში დაცულია მრავალფეროვანი და იშვიათი ჯიშის სამკურნალო მცენარეები.

### 3.1.6 ტყე

ბორჯომის მუნიციპალიტეტი მდიდარია ბუნებრივი ტყეებით, აქ არის სხვადასხვა ტიპის ტყეები არსებული კლიმატის შესაბამისად, რაც მთლიანობაში მოიცავს დაახლოებით 63.200 ჰა-ს, ანუ ტერიტორიის 57%-ს. ბორჯომის თითქმის ყველა ტყე ასრულებს მნიშვნელოვან როლს კლიმატის რეგულირების, მიწის დაცვისა და წყლის ნაკადის კონტროლის თვალსაზრისით. გარდა ამისა, ტყეებს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სარგებელი მოაქვთ ადამიანისთვის, როგორც საარსებო წყაროს, ისე სასურსათო უსაფრთხოების თვალსაზრისით. ისინი იძლევიან სამშენებლო მასალებს, შეშას, საკვებს (სოკო, კაკალი და კენკრა), სამკურნალო მცენარეებსა და საძოვრებს ცხოველებისთვის. ხეების უნარი, თავიდან აგვაცილონ ნიადაგის ეროზია და მეწყერი, არსებითად მნიშვნელოვანია მსგავსი საფრთხეების მატარებელ მთიან ზონაში.

ბორჯომის ტყეებში, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა ადგილზე მთელ საქართველოში, მუდმივივ გაჩეხვის შედეგად დაწყებულია გაუდაბნოების პროცესი. გაუდაბნოების მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალი იყო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როდესაც არსებობდა ენერჯის დეფიციტი. ბორჯომის სოფლებში ხე კვლავ გამოიყენება, როგორც პირველადი წყარო გასათბობად და საჭმლის მოსამზადებლად, აგრეთვე ელექტროენერჯისა და ბუნებრივი აირის ხარჯის შესამცირებლად. ხის ჭრა საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის კვლავაც ხორციელდება და ტყის უკანონო ჭრა კომერციული მიზნებისთვის ასევე სერიოზულ პრობლემად რჩება მთელი ქვეყნის მასშტაბით.

### 3.1.7 ტურიზმი და რეკრეაცია

მე-19 საუკუნის ბოლოდან ტურისტებმა დაიწყეს ბორჯომში ჩამოსვლა და მას შემდეგ მათ ყურადღებას იპყრობს აქაური კურორტები, მინერალური წყლები, პარკები, სამკურნალო-დასასვენებელი დაწესებულებები და სპა ცენტრები. მოგვიანებით კი განვითარდა სათხილამურო ინფრასტრუქტურა, სანატორიუმები და სასტუმროები ბაკურიანში, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ადგილი ახლა უკვე იღებს ტურისტებს მთელი წლის განმავლობაში. გარდა ამისა, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, თავისი უზარმაზარი ტყეებით, ხელუხლებელი და დაცული ტერიტორიებით, არის ტურისტების მოზიდვის კიდევ ერთი საშუალება, ისევე, როგორც მუნიციპალიტეტში მდებარე მრავალი სხვა ისტორიული და კულტურული ძეგლი.


2013 წელს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტურიზმის დეპარტამენტმა დაარეგისტრირა 352.931 ტურისტი (ადგილობრივი და უცხოელი ვიზიტორი), ხოლო 2014 და 2015 წლების მონაცემებით ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო გაიზარდა. საერთაშორისო ტურისტების ყველაზე დიდი რაოდენობა ჩამოდის ძირითადად გერმანიიდან, ისრაელიდან, პოლონეთიდან, ყაზახეთიდან, აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ბორჯომის მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვნად გაიზარდა და განვითარდა სასტუმროები და საოჯახო სასტუმროები. ბორჯომში არის ოთხი ტიპის საცხოვრებელი ჩამოსულთათვის: მაღალი სტანდარტების მქონე სასტუმროები, საოჯახო სასტუმროები, კერძო სახლები და ბინები. სასტუმროში დარჩენის ღირებულება მერყეობს 50 აშშ დოლარიდან 200 აშშ დოლარამდე დღეში, ხოლო კერძო სახლი გაცილებით იაფია - 15-20 აშშ დოლარი დღეში. No: 2 ცხრილში წარმოდგენილია 2015 წელს ბორჯომის მუნიციპალიტეტში არსებული სასტუმროების, საოჯახო სასტუმროების, კერძო სახლებისა და ბინების რაოდენობა.

**No: 2 ცხრილი: სასტუმროები და საოჯახო სასტუმროები ბორჯომის მუნიციპალიტეტში**

ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო	2
ოთხვარსკვლავიანი სასტუმრო	1
სამვარსკვლავიანი სასტუმრო	3
საოჯახო სასტუმროები ბორჯომის მუნიციპალიტეტში (ბორჯომი, სადგერი, ტბა, ცემი, წალვერი)	70
კერძო სახლები (სადგერი, ტბა, ცემი, წალვერი)	250
ბინები ბორჯომში	217
ორ და სამ ვარსკვლავიანი სასტუმროები და საოჯახო ტიპის სასტუმროები ბაკურიანში	86

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ხელუხლებელი ბუნება ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ღირსშესანიშნაობაა რეგიონში ჩამოსული ტურისტებისთვის. ეს არის პირველი პარკი კავკასიაში, რომელიც აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს და არის ველური ბუნების დაცვის ევროპული ორგანიზაციის - PAN Parks-ის წევრი, რაც არის მისი დაცვისა და მდგრადი ტურიზმის გარანტია. ქვემოთ მოცემულ No: 1 გრაფიკზე ნაჩვენებია ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ვიზიტორების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა 2003 - 2014 წლებში.

**გრაფიკი No: 1 ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ვიზიტორები**



წყარო: ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი

**3.1.8 ინფრასტრუქტურა**

*ელექტროენერჯია*

ყველა სოფელი და ქალაქი ბორჯომი უზრუნველყოფილია 24 საათიანი ელექტრომომარაგებით, სოფელ თორის გარდა. ბოლო წლებში გაზის მიწოდებაც ასევე გაუმჯობესდა. მუნიციპალიტეტში არსებული სახლების 65% უკვე იღებს გაზმომარაგებას. ბუნებრივი აირი არ მიეწოდება შემდეგ სოფლებს: მოლითი, ჭიხარულა, ბალანთა, ანდეზიტი, ციხისჯვარი, ჩითახევი, ლარები,

ჭობისხევი, დვირი, ტადრისი, დგვარი, საკირე და ზორეთი. ბორჯომში ბევრი ოჯახი მიიჩნევს, რომ გაზის გათბობის წყაროდ გამოყენება ძალიან ძვირია და ამ მიზეზის გამო ისინი გათბობის მიზნით იყენებენ შეშას, რისთვისაც ხშირად უკანონოდ ჭრიან ხე-ტყეს.

### *წყალი*

მუნიციპალიტეტში არსებობს ორი სახის წყალმომარაგების სისტემა. ქალაქ ბორჯომს და ბაკურიანს მიეწოდება სუფთა წყალი ცენტრალური წყლის გამანაწილებელი სისტემით, რომელიც ექვემდებარება საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას. კომპანიამ ააშენა წყლის გამწმენდი ნაგებობა 12 ფილტრით, რომლის მშენებლობაც დააფინანსა მსოფლიო ბანკმა. შენობა აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული სისტემით და შეუძლია გაფილტროს 140 ლიტრი წყალი წამში. ამჟამად ბორჯომის მოსახლეობის 80%-ს აქვს 24 საათიანი წყალმომარაგება, ხოლო 20%-ს წყალი სტაბილურად 8-10 საათი მიეწოდება დღეში. მსგავსი დაწესებულება კომპანიამ ასევე ააშენა ბაკურიანშიც. სოფლები იღებენ წყალს ადგილობრივი წყაროებიდან, თუმცა ზოგიერთი ოჯახი ვერ იღებს წყალს პირდაპირ სახლში და უწევს წყლის შეგროვება.

### *ნარჩენების მართვა*

ნარჩენების მართვა ერთ-ერთი ყველაზე დიდი ეკოლოგიური პრობლემაა, არა მარტო ბორჯომის, არამედ მთელი საქართველოსათვის. მუნიციპალიტეტში არსებობს მხოლოდ ორი ნაგავსაყრელი - ერთ ბორჯომში და მეორე ბაკურიანში. ნარჩენების მართვის მომსახურებას ახორციელებს დასუფთავების სამსახური, შპს „კეთილმოწყობა“, რომელიც განთავსებულია ბორჯომის მუნიციპალიტეტში. დასუფთავების სამსახური აღჭურვილია ტექნიკურად და აწარმოებს ნარჩენების დახარისხებას. ზოგიერთ ტურისტულ ცენტრში (სოფლებში) არის სპეციალური ნაგვის კონტეინერები, მაგრამ ზოგადად არსებობს ნარჩენების გატანის პრობლემა. ბევრ სოფელში ასეთი მომსახურება არ არის ხელმისაწვდომი და ხალხი ყრის ნარჩენებს სოფლის გარშემო. იგივე პრობლემატური სიტუაციაა ნარჩენ წყალთან და კანალიზაციის გამწმენდ სისტემასთან მიმართებაშიც. მხოლოდ ბორჯომსა და ბაკურიანს გააჩნია კანალიზაციის სისტემები და ყველა სოფელი იყენებს სეპტიკური რეზერვუარებისა და არაკონტროლირებადი კანალიზაციის სისტემების კომბინაციას.

### *ტრანსპორტი*

ბორჯომის მუნიციპალიტეტში არის 175 კმ შიდა გზები, აქედან 55% მოასფალტებულია. მუნიციპალიტეტში გადის 82 კმ საქართველოს სახელმწიფო გზა, სამარშრუტო ნომერი 58. ეს გზა აგრეთვე ცნობილია ხაშური-ახალციხე-ვალეს საავტომობილო გზად და არის ერთ-ერთი ძირითადი მაგისტრალური გზა. ბორჯომში არის ორი სარკინიგზო გზა: ერთი ხაზი აკავშირებს თბილისს ბორჯომსა და ახალციხესთან, ხოლო მეორე არის ვიწრო ტურისტული ლიანდაგის ხაზი, რომელიც აკავშირებს ბორჯომსა და ბაკურიანს. საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემაში შედის 12 მუნიციპალური მიკროავტობუსის ხაზი.

### **3.1.9 ჯანდაცვის სისტემა**

მუნიციპალიტეტში არის ორი საავადმყოფო - ერთი ბორჯომში და ერთი ბაკურიანში და ერთი სამშობიარო სახლი. თითქმის ყველა სოფელს აქვს ჯანდაცვის ინფრასტრუქტურა (სამედიცინო პუნქტი), თუმცა სოფლებში: მზეთამზე, ჭიხარულა, მოლითი, ცემი და სადგერი, არ არის არც ერთი სამედიცინო პუნქტი.

მუნიციპალიტეტში, განსაკუთრებით კი სოფლებში, არის სერტიფიცირებული, კვალიფიციური და რეგისტრირებული ექიმების ნაკლებობა (განსაკუთრებით, ქირურგების). ამიტომ პაციენტები

ხშირად მიმართავენ თბილისის საავადმყოფოებსა და კლინიკებს, რათა ჩაიტარონ პროფესიული სამედიცინო კვლევა, დიაგნოსტიკა და მკურნალობა, რაც მათთვის დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული. ასეთივე სიტუაციაა აფთიაქებთან და მსგავს ობიექტებთან მიმართებაში, რომლებიც განლაგებულია მხოლოდ ბორჯომსა და ბაკურიანში. მუნიციპალიტეტში არის ასევე ერთი სახანძრო და ერთი სამაშველო სამსახური.

ბორჯომის მუნიციპალიტეტში არ არსებობს უფასო სამედიცინო მომსახურება, მაგრამ მოქმედებს სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევის პროგრამა, რომელიც მუშაობს 2012 წლის სექტემბრიდან და ხელმისაწვდომია ყველა მკვიდრისათვის. ეს სადაზღვევო პროგრამა ძირითადად აფინანსებს გადაუდებელ ქირურგიულ ოპერაციებს, დაგეგმილ ოპერაციებს, კიბოს მკურნალობას, სამედიცინო-პროფილაქტიკურ კვლევასა და შემოწმებას და სხვა სამედიცინო მომსახურებას. გარდა ამისა, არსებობს სპეციალური პროგრამა პენსიონერებისთვის და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის, ისევე, როგორც ბავშვებისა (6 წლამდე) და სტუდენტებისთვის.

### 3.1.10 კულტურული / სოციალური დაწესებულებები და საქმიანობები

ბორჯომი მდიდარია ისტორიულ-კულტურული ძეგლებით, ეკლესიებითა და ციხე-სიმაგრეებით. მის ტერიტორიაზე წარმოდგენილია 80-მდე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი. მათი უმრავლესობა აგებულია შუა საუკუნეებში. ბორჯომში არის თეატრი, ისტორიული მუზეუმი, პარკები, სპორტული ობიექტები და მუსიკალური სკოლა. ბორჯომსა და ბაკურიანში და ხაშური-ბორჯომ-ახალციხის მთავარ გზაზე ასევე არის ბევრი რესტორანი და კაფე. სოფლებში ზოგადად განიცდიან სოციალური ობიექტების ნაკლებობას, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ სოფელში არის სოფლის კლუბი, ხოლო ზოგან - ბიბლიოთეკა. ბორჯომს ჰყავს საფეხბურთო გუნდი "FC. ბორჯომი" და სხვადასხვა სახის სპორტული ჯგუფები რაგბში, ჭიდაობაში, ძიუდოში ა. შ. ტრადიციულად ყოველ წელს ტარდება ტურნირები ჭიდაობაში, ჭადრაკში, მინი-ფეხბურთში. მთავარი ყოველწლიური კულტურული ღონისძიებებია: "ბორჯომობა", რომელიც აგვისტოს ბოლოს იმართება და აქ ეწყობა ბორჯომის მრავალფეროვნებისა და ისტორიის აღსანიშნავი ფესტივალი; აგრეთვე, „ბაკურიანობის“ დღესასწაული, რომელიც თებერვლის ბოლოს სათხილამურო კურორტზე იმართება, რა დროსაც ტარდება სხვადასხვა შეჯიბრებები: სათხილამურო, ტრამპლინიდან ხტომა, სნოუბორდინგი და ცხენოსნობა.

### 3.1.11 სამოქალაქო ჩართულობა და სამოქალაქო ასოციაციები

ახალციხის მუნიციპალიტეტთან შედარებით სამოქალაქო ჩართულობა ბორჯომის მუნიციპალიტეტში ძალიან დაბალია, მაგრამ მაინც არსებობს რამდენიმე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია (NGO), ასოციაცია და ახალგაზრდული ჯგუფი. არსებობს ოთხი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია - "მწვანე ბორჯომი", "ოაზისი", "სხვადასხვაობისთვის" და "ბალუ", რომლებიც მუშაობენ გარემოს დაცვის კუთხით ცნობიერების ამაღლებაზე და ამზადებენ საინფორმაციო მასალებს ეროვნული პარკის ვიზიტორებისათვის. ასევე, ექვსი ეკო-კლუბი დაარსდა ბორჯომის, ახალდაბის და წაღვერის სკოლებში საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროსა და გაეროს განვითარების პროგრამის დახმარებით.


სოფლის განვითარების ასოციაცია "მწვანე ველი" დაარსდა 2015 წლის თებერვალში გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით. ამ ასოციაციის მიზანია გააუმჯობესოს სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა გარემოს დაცვის, სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის მდგრადი განვითარების გზით. ასოციაცია ხელს უწყობს ტრადიციული და

მდგრადი ფერმერული მეურნეობის განვითარებას რეგიონში, ფერმერთა კოოპერატივებს, ეხმარება ორგანული ფერმერული მეურნეობის განვითარებას, ავითარებს ადგილობრივ წარმოებას, იცავს ფერმერთა უფლებებს ბაზარზე და მხარს უჭერს და ხელს უწყობს ტურისტული ინფრასტრუქტურისა და მდგრადი ტურიზმის განვითარებას რეგიონში.

არასამთავრობო ორგანიზაცია „სამცხე-ჯავახეთის მედია ცენტრმა“ შვედეთის განვითარების სააგენტოსა (SIDA) და ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის ფინანსური მხარდაჭერით ბორჯომში ჩამოყალიბდა ახალგაზრდული გენდერული კლუბი. კლუბი შედგება 16 და 17 წლის ასაკის 20 ახალგაზრდისგან ბორჯომის მუნიციპალიტეტიდან. გარდა ამისა, სამცხე-ჯავახეთის მედია ცენტრის ბაზაზე შექმნილია ახალგაზრდული ჩართულობის ცენტრი, რომელსაც მხარს უჭერს PH International და ამერიკის საელჩო. მასში ჩართულია 15-დან 16 წლამდე ასაკის 20-მდე ახალგაზრდა. ამ ახალგაზრდული ჯგუფების წევრები ხვდებიან მოსწავლეებს სკოლებში, რათა წარმოადგინონ თავისი სამუშაო და გამართონ დისკუსიები გენდერულ თანასწორობის და სხვადასხვა საკითხებზე. ისინი ასევე აქტიურად მონაწილეობენ ადვოკატირების კამპანიებსა და სხვადასხვა სამოქალაქო ინიციატივებში.

### 3.1.12 ადგილობრივი ხელისუფლების სტრუქტურა

ქვემოთ მოცემულ სქემაზე მოცემულია ბორჯომის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების სტრუქტურა.



## 3.2 განვითარების პრიორიტეტების და საჭიროებების განსაზღვრა

### 3.2.1 მიმოხილვა

ეს პარაგრაფი წარმოადგენს მეთოდოლოგიას, რომელიც გამოყენებული იქნა განვითარების საჭიროებებისა და ძირითადი პრიორიტეტების გამოსავლენად ბორჯომის მუნიციპალიტეტში. მეთოდოლოგია შემუშავებულია საზოგადოების ჩართულობისა და შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც მიღებული იქნა ქვემოთ ჩამოთვლილი წყაროებიდან:

- დოკუმენტები რეგიონული და ეროვნული სტრატეგიის და პოლიტიკის შესახებ
- ინტერვიუები ადგილობრივ მოსახლეობასა და სექტორის ხელმძღვანელებთან
- დისკუსიები ეროვნულ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან
- SWOT ანალიზის პროცესი ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის წევრებთან

SWOT ანალიზის პროცესი განიხილავს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ძლიერ და სუსტ მხარეებს, შესაძლებლობებსა და საფრთხეებს. ეს არის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდი, რომელიც გამოიყენება შიდა და გარე ფაქტორების განსაზღვრისთვის, რომლებიც დადებით ან უარყოფით გავლენას ახდენენ კონკრეტული მიზნის მიღწევაზე. ამ შემთხვევაში არის ის ფაქტორები, რომელიც ხელს უწყობს ან ხელს უშლის სოფლის განვითარებას ბორჯომის მუნიციპალიტეტში. SWOT ანალიზის შედეგები, სხვადასხვა დოკუმენტებიდან, ინტერვიუებიდან და შეხვედრებიდან შეგროვებული ინფორმაცია გამოყენებული იქნა ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის პრიორიტეტებისა და სტრატეგიული მიმართულების განსაზღვრისთვის.

### 3.2.2 რეგიონული და ეროვნული სტრატეგიის დოკუმენტები

ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის შემუშავებისას, როგორც ინფორმაციის პირველადი წყარო, გამოყენებული იყო ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები. ჩატარდა ამ სტრატეგიული დოკუმენტების ანალიზი, იმისათვის რომ ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის პრიორიტეტები და ამოცანები შესაბამისობაში ყოფილიყო რეგიონულ და ეროვნულ სტრატეგიასა და პოლიტიკასთან.

1. სამცხე-ჯავახეთის რეგიონული განვითარების სტრატეგია 2014-2021, შემუშავდა GIZ-ის მხარდაჭერით.
2. სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020.
3. სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია, შემუშავდა FAO-ს მხარდაჭერით.
4. საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2015-2025.
5. სამცხე-ჯავახეთის გზამკვლევი, გამოაქვეყნებულია „ელკანა“-ს მიერ 2012 წელს.
6. ბორჯომის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები, გამოქვეყნდა სოფლის მეურნეობის რეგიონალური და ადგილობრივი საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურების სამსახურების მიერ, 2015 წელს.
7. საქართველოს კანონი მალალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ.
8. CHF International GEII პროგრამისგან მიღებული პროექტის ანგარიშები 2004-09.
9. ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების მართვის გეგმა, 2012.
10. გაეროს განვითარების პროგრამა 2014-2015 პროგრესის შესახებ ანგარიში - სასტუმროებისა და კოოპერატივების განვითარება წალვერში.



11. ბორჯომის მუნიციპალიტეტის (2008 და 2015) სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმა ბორჯომის მუნიციპალიტეტი.
12. გაეროს განვითარების პროგრამის ანგარიში (2013) ეკონომიკური და სოციალური დაუცველობა საქართველოში.

### 3.2.3 ინტერვიუები ადგილობრივ საზოგადოებასთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან

სხვადასხვა სექტორში დასაქმებული ადგილობრივი მოსახლეობისაგან ინფორმაციისა და მასალების მოპოვების მიზნით BABF-ის კონსულტანტებმა 2015 წლის დეკემბრის დასაწყისში ბორჯომის მუნიციპალიტეტში ჩაატარეს შემდეგი შეხვედრები:

- ბაკურიანის ტურისტული სააგენტოს ტურისტული საინფორმაციო ცენტრის მენეჯერთან
- სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრთან ბორჯომში
- ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დირექტორთან
- ბორჯომის ტურისტული სააგენტოს ტურისტული საინფორმაციო ცენტრის მენეჯერთან
- სასტუმროს და საოჯახო სასტუმროს მფლობელებთან ბაკურიანში
- ფერმერთა მხეთამხეში
- დურგლებთან ახალდაბაში.

დამატებითი ინფორმაციის მოსაპოვებლად, მოგვიანებით, 2016 წლის თებერვალში გაიმართა შემდგომი შეხვედრები საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რომლებიც ახლახანს მუშაობდნენ ბორჯომში. ეს იყო NACRES-ი (გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაცია), გაეროს განვითარების პროგრამის წარმომადგენლები, ელკანა (ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია) და GIZ-ი (გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება)

ამის გარდა, 2016 წლის თებერვალში ანგუსის მუნიციპალიტეტში, შოტლანდიაში მოეწყო სასწავლო ტური, რომლის მიზანი იყო ანგუსის საზოგადოების მიერ ადგილობრივ განვითარებაზე გაკეთებული ინიციატივების და ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის გაცნობა და მიღებული ცოდნის გაზიარება ბორჯომის განვითარების ჯგუფისთვის. სასწავლო ტურს ორგანიზებას უწევდა ანგუსის საბჭო და იგი მოიცავდა სხვადასხვა შეხვედრებს ანგუსის საბჭოს აღმასრულებელი დირექტორთან, ანგუსის საბჭოს დეპუტატებთან, საბჭოს სხვა წევრებთან, ანგუსის განვითარების ჯგუფის წევრებთან, ანგუსის LEADER კოორდინატორთან, კენგორმის LEADER კოორდინატორთან, შოტლანდიის მთავრობის სოფლის განვითარების განყოფილების ხელმძღვანელთან, ევროპული ქვეყნების სოფლის განვითარების ქსელის (ENRD) წარმომადგენელთან და შოტლანდიის სასოფლო ფორუმის თავმჯდომარესთან. სასწავლო ტური ითვალისწინებდა 9 სხვადასხვა პროექტის ვიზიტს, რომელიც დაფინანსებული იყო LEADER-ის და სხვა სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამების ფარგლებში, სადაც მონაწილეებმა მოისმინეს პრეზენტაციები გრანტის მიღების შესახებ და დასვეს შეკითხვები ამ პროექტების ირგვლივ.

### 3.2.4 SWOT ანალიზის პროცესი და საჭიროებების შეფასება

ბორჯომის განვითარების ჯგუფმა, რომელიც ჩამოყალიბდა 2015 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ამავე წლის 9 და 10 დეკემბერს ჩაატარა ორი SWOT ანალიზის პროცესი. SWOT ანალიზების მეთოდის ტეხი იყვნენ ავსტრიის მაღალმთიანი და ნაკლებად მისადგომი ადგილების ფედერალური ინსტიტუტის წარმომადგენლები. თავდაპირველად, 9 დეკემბერს „ბორჯომის

განვითარების ჯგუფის“ წევრების მიერ SWOT ანალიზი გაკეთდა მთლიანად ბორჯომის მუნიციპალიტეტისთვის. ბორჯომის განვითარების ჯგუფის წევრებს დაესვათ კითხვები და დისკუსიების შედეგად ბორჯომის SWOT ანალიზში შეტანილი იქნა შემდეგი შედეგები.

ძლიერი მხარე	სუსტი მხარე
<ul style="list-style-type: none"> <li>• “ბორჯომი” როგორც ბრენდი</li> <li>• ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა</li> <li>• კარგი კლიმატი და სუფთა ჰაერი</li> <li>• მიმზიდველი გარემო</li> <li>• ადვილად მისადგომობა</li> <li>• სტუმართმოყვარეობა</li> <li>• მრავალფეროვანი ლანდშაფტი (ფლორა და ფაუნა)</li> <li>• ბუნებრივი რესურსები და მინერალური წყალი</li> <li>• ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობა</li> <li>• ლამაზი ტბები და მდინარეები</li> <li>• ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი და დაცული ტერიტორიები</li> <li>• ბორჯომის მინერალური წყლის სამკურნალო თვისებები</li> <li>• რომანოვების სასახლე ლიკანში და მისი უნიკალური ბოტანიკური ბაღი</li> <li>• სათხილამურო კურორტი</li> <li>• რკინიგზა (თბილისი-ბორჯომი-ბაკურიანი)</li> <li>• ტურისტებთან ურთიერთობის მრავალწლიანი გამოცდილება</li> <li>• მრავალეთნიკურობა</li> <li>• გაგრძელებადი ტრადიციები</li> <li>• კარგი ინფრასტრუქტურა (სასმელი წყალი, გზა, დენი, გაზიფიცირება და ა.შ.)</li> <li>• მრავალფეროვანი ტურისტული ინფრასტრუქტურა (მაღალი სტანდარტების მქონე სასტუმრო, საოჯახო სასტუმრო, ჰოსტელები, პარკები, მუზეუმები და ა.შ.)</li> <li>• მრავალფეროვანი ტურისტული ატრაქციონები (აგრო-ეკო-ბუნებრივი, კულტურული, რეკრეაციული, აქტიური, სამედიცინო, ზამთრის ტურიზმი)</li> <li>• ადგილობრივი (ბიო) პროდუქცია</li> <li>• საფეხბურთო კლუბი და კულტურის სახლი და მუსიკალური სკოლა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ფინანსური რესურსებისა და ინვესტიციების ნაკლებობა</li> <li>• განათლების პრობლემა (უცხო ენის არცოდნა, სერვისის სფეროს არასაკმარისი ცოდნა)</li> <li>• კვალიფიციური ადამიანური რესურსების ნაკლებობა და დაბალი მოტივაცია</li> <li>• ინფრასტრუქტურის (კაფე, კინო, გასართობი ადგილები და ა.შ.) ნაკლებობა (ან უხარისხო)</li> <li>• ტურიზმის მომსახურების / შეთავაზებების ნაკლებობა</li> <li>• გარემოსდაცვითი ცნობიერების დაბალი დონე</li> <li>• სტიქიური უბედურებების შემთხვევაში მოქმედების არცოდნა და გეგმის არქონა.</li> <li>• სტრატეგიული გეგმის არ ქონა (დარგობრივ და მუნიციპალურ დონეზე)</li> <li>• ადეკვატური ინფრასტრუქტურის არ ქონა, მათ შორის ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და ინტერნეტის</li> <li>• ცუდი კანალიზაციის სისტემა და ნარჩენების მართვა (გადამუშავება)</li> <li>• ბუნებრივი რესურსების შეშად გამოიყენება</li> <li>• დარიბი აგრარული ბაზარი</li> <li>• ძველი სასოფლო-სამეურნეო მანქანები და მოწყობილობები</li> <li>• სხადასხვა სექტორებს შორის კომუნიკაციის და თანამშრომლობის პრობლემები</li> <li>• ასოციაციების არარსებობა (აგრო, ტურიზმი, სასტუმრო)</li> <li>• არაჯანსაღი კონკურენცია</li> <li>• მოკლე ტურისტული სეზონი</li> <li>• სატყეო და თევზის რესურსების არაეფექტურად მართვა</li> <li>• მაღალი ფასები და მაღალი ხარისხის პროდუქცია არ შეესაბამება ერთმანეთს</li> </ul>

შესაძლებლობები	საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> <li>• სხვადასხვა ტურისტული მომსახურებისა და შეთავაზებების განვითარება</li> <li>• ტურიზმსა და სოფლის მეურნეობას შორის თანამშრომლობა</li> <li>• მაღალი ხარისხის პროდუქციის წარმოება</li> <li>• მნიშვნელოვანი ისტორიული ადგილები</li> <li>• ეროვნული პარკის პოპულარობა</li> <li>• სხვადასხვა სახის ტურიზმის განვითარება</li> <li>• სპორტისა და რეკრეაციული რესურსების განვითარება</li> <li>• ახალგაზრდების წახალისება სპორტში</li> <li>• ბიო-პროდუქციის განვითარება</li> <li>• მეცხოველეობის და რძის გადამამუშავების განვითარება</li> <li>• ინფრასტრუქტურის განვითარება</li> <li>• ტყის მართვის განვითარება</li> <li>• ბორჯომის მსოფლიო კურორტი 2025</li> <li>• მაღალი სტანდარტების მქონე სასტუმროების, კატარა სასტუმროების აშენება და საოჯახო სასტუმროების განვითარება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• არასტაბილური პოლიტიკური გარემო მთელ რეგიონში</li> <li>• კლიმატის ცვლილება / გლობალური დათბობა</li> <li>• ტყის და ბუნებრივი რესურსების არამდგრადი გამოყენება</li> <li>• სტიქიური უბედურებები</li> <li>• ახალგაზრდების მიგრაცია მაღალმთიანი სოფლებიდან</li> <li>• ტყის რესურსების შემცირება და დეგრადაცია</li> <li>• დაბინძურება</li> </ul>

ამ პროცესის შემდეგ<sup>5</sup> მიღებული ინფორმაციის თანახმად განისაზღვრა განვითარების ოთხი კონკრეტული თემატური მიმართულება. ესენი იყო:

- მაღალი ხარისხის სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია და მომსახურება
- კულტურული და სპორტული აქტივობები
- მდგრადი / ბუნებაზე დაფუძნებული ტურიზმი
- გარემოს დაცვა

2015 წლის 10 დეკემბერს, SWOT ანალიზის პროცესის მე-2 დღეს, განხილული იქნა ეს თემატური მიმართულებები და განისაზღვრა კონკრეტული საჭიროებები თითოეულ მიმართულებაში, რა მიზნები და გზები არსებობს ამ საჭიროებების გადაწყვეტისათვის და რომელი მონაწილეები (მოთამაშეები) უნდა იყვნენ ამაში ჩართული.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში შეტანილია ამ დისკუსიებიდან მიღებული ინფორმაცია:

<sup>5</sup> თავდაპირველად იყო ხუთი თემატური მიმართულება, მათ შორის "მეწარმეობის ხელშეწყობა და ბიზნესის დაწყება", მაგრამ მიღწეული იქნა შეთანხმება, რომ ეს მიმართულება გაერთიანებული ყოფილიყო სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის მიმართულებაში.

**თემატური მიმართულება N 1: "მაღალი ხარისხის სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია და მომსახურება"**

<p><b>საჭიროებები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ ფერმერთა დაბალი უნარ-ჩვევები და ახალი ტექნოლოგიების ცოდნა</li> <li>○ ადგილობრივ და ეროვნულ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს მოწოდებული პროდუქცია</li> <li>○ სამელიორაციო ტექნიკის არარსებობა</li> <li>○ გადამუშავების საშუალებების შეზღუდული რაოდენობა</li> <li>○ დაბალი უსაფრთხოების ნორმები სოფლის მეურნეობის და კვების პროდუქტებისთვის</li> <li>○ გაუმჯობესებული საბაზარო ადგილები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისთვის</li> </ul>	<p><b>მიზნები და გზები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ ფერმერების ცნობიერების ამაღლება ახალი ტექნოლოგიების მიმართულებით და ახალი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დანერგვა</li> <li>▪ სარწყავი სისტემების დანერგვა</li> <li>▪ სათბურების დანერგვის ხელშეწყობა</li> <li>▪ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების რაოდენობის გაზრდა</li> <li>▪ რძის შეგროვების და გადამუშავების ცენტრების განვითარება</li> <li>▪ სურსათის უვნებლობის სტანდარტების გაუმჯობესება</li> <li>▪ ახალი სექტორის განვითარება (კენკრა, მეფუტკრეობა და ა.შ.)</li> <li>▪ აგრარული ბაზრების გაუმჯობესება</li> <li>▪ აგრო-ტურისტული შესაძლებლობების განვითარება</li> <li>▪ ბაზრის გამოკვლევის ხელშეწყობა და ინვესტიციების მოზიდვა</li> <li>▪ სოფლის მეურნეობის განვითარები ცენტრების შექმნა</li> <li>▪ ფერმერების გადამზადება</li> <li>▪ სემინარების, გამოფენების და სასწავლო ტურების მოწყობა</li> <li>▪ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეკლამირება</li> <li>▪ ახალგაზრდობის მოტივაციის გაზრდა სოფლის მეურნეობის სექტორში</li> <li>▪ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სერტიფიცირება და ბრენდინგი</li> </ul>
<p><b>მთავარი მონაწილეები</b></p> <p>სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო სტრუქტურები, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, ფერმერები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ლაბორატორიები, ფინანსური ინსტიტუტები, ახალგაზრდობა, მედია, გიდები, ტურისტული სააგენტოები და საინფორმაციო ცენტრები</p>	

**თემატური მიმართულება N2 „კულტურული და სპორტული აქტივობები“**

<p><b>საჭიროებები</b></p> <p>○ შეზღუდული შესაძლებლობები კულტურისა და სპორტის სფეროში, განსაკუთრებით ახალგაზრდებისათვის</p> <p>○ არასამთავრობო ორგანიზაციების ნაკლებობა, რომლებიც ჩართული არიან</p>	<p><b>მიზნები და გზები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ ახალგაზრდობის მეტი ჩართულობის ხელშეწყობა კულტურისა და სპორტის სფეროში</li> <li>▪ კულტურული და სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება</li> <li>▪ აქტივობებზე უფასო ხელმისაწვდომობის მხარდაჭერა</li> <li>▪ ტალანტების აქტიური ხელშეწყობა</li> <li>▪ სპორტული და კულტურული ღონისძიებების სათანადოდ მართვის ხელშეწყობა</li> <li>▪ კვალიფიციური მწვრთნელების დაფინანსება</li> </ul>
--	--

<p>სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებში          o დაწესებულებებისა და რესურსების ნაკლებობა          o სუბსიდირებული აქტივობების ნაკლებობა</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ სპორტისა და კულტურის სფეროში წარმატებული ადამიანების, როგორც მისაბადი მაგალითების, პოპულარიზაცია</li> <li>▪ სასწავლო პროგრამების გაუმჯობესება</li> <li>▪ მუზეუმების, სკოლების და ა.შ. გაფართოება</li> <li>▪ ადგილობრივი მსახიობებისა და მომღერლების წახალისება ადგილობრივ მოსახლეობისთვის მეტი წარმოდგენების გამართვის მიზნით</li> <li>▪ კულტურულ და ტურისტულ საქმიანობებს შორის კავშირების დამყარება</li> </ul>
<p><b>მთავარი მონაწილეები</b>          სპორტული კლუბები, მწვრთნელები, მენეჯერები, კულტურისა და ხელოვნების ცენტრები და მასწავლებლები, რეჟისორები, მსახიობები, ადგილობრივი მხატვრები, მუნიციპალური მთავრობა, არასამთავრობო ორგანიზაციები, ახალგაზრდობა, რაფტინგის ფედერაცია, რაგბის ეროვნული ფედერაცია და საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია.</p>	

**თემატური მიმართულება N3 „მდგრადი/ზუნებაზე დაფუძნებული ტურიზმი“**

<p><b>საჭიროებები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>o ცუდი ტურისტული მომსახურება</li> <li>o მაღალი სტანდარტების სასტუმროების ნაკლებობა</li> <li>o პერსონალისთვის სწავლებისა და ტრენინგების ნაკლებობა</li> <li>o გასართობი - კაფეები, რესტორნები, ღონისძიებები და ა.შ. ნაკლებობა</li> <li>o რომანოვების სასახლე არაა ღია საჯარო ვიზიტორებისთვის</li> <li>o ხანმოკლე ტურისტული სეზონი</li> <li>o ტურისტული ასოციაციების არარსებობა</li> <li>o ქალაქის შიდა ავტობუსებისთვის ავტოსადგურის არქონა</li> <li>o ცუდი სარკინიგზო ინფრასტრუქტურა და სუსტი საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემა</li> <li>o ძალიან ცოტა საჯარო ტუალეტები</li> </ul>	<p><b>მიზნები და გზები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება - მაგალითად, სასტუმროები, კაფეები, რესტორნები, გასართობი ცენტრები, სასტუმრო, მაღაზიები, მაღაზიები, სუვენირების მაღაზიები, საზოგადოებრივი ტუალეტები</li> <li>▪ ტურიზმის პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება</li> <li>▪ მომსახურების სტანდარტების გაუმჯობესება მუნიციპალიტეტის დონეზე</li> <li>▪ ტურისტული ასოციაციების დაარსება</li> <li>▪ სასტუმროებსა და ტურისტულ სააგენტოებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება</li> <li>▪ ტურიზმის სფეროში ახალგაზრდობის მეტი ჩართულობის ხელშეწყობა</li> <li>▪ ტურისტული პაკეტების შექმნა, მაგ: კულტურული, ცხენებით გასეირნება, აგრო-ტურიზმი</li> <li>▪ სხვადასხვა სახის სარეკლამო ღონისძიებების მოწყობა ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე</li> <li>▪ სარეკლამო კამპანიები სოციალური მედიის, საიტების, ბილბორდების, დოკუმენტური ფილმების და ა.შ. მეშვეობით</li> <li>▪ კულტურული შენობების და ატრაქციონების აღდგენა</li> </ul>
--	--

<ul style="list-style-type: none"> <li>○ შეზღუდული კავშირები ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის სექტორებს შორის</li> <li>○ საერთო სტრატეგიული გეგმის არარსებობა ტურიზმის მიმართულებით</li> </ul>	
<p><b>მთავარი მონაწილეები</b>  კერძო ბიზნესი, ტუროპერატორები, სასტუმროს მფლობელები, საოჯახო სასტუმროების მფლობელები, ტურიზმის სააგენტოს ცენტრები, ეროვნული პარკი, გიდები, ადგილობრივი ხელისუფლება, არასამთავრობო ორგანიზაციები, ახალგაზრდობა, ფინანსური ინსტიტუტები, დონორები და საგანმანათლებლო ცენტრები</p>	

**თემატური მიმართულება N4 „გარემოს დაცვა“**

<p><b>საჭიროებები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ ნარჩენების არასწორი მართვა</li> <li>○ კანალიზაციის სისტემების გაუმართაობა</li> <li>○ დაბინძურებული მდინარეები</li> <li>○ ჰაერის დაბინძურების პოტენციალი</li> <li>○ სისტემური მიდგომის არარსებობა ტყის მართვისა და ტყის ჭრისადმი</li> <li>○ რესურსების არამდგრადი გამოყენება</li> <li>○ გარემოსდაცვის სფეროში დაბალი ცნობიერება</li> <li>○ სამოქალაქო საზოგადოების ნაკლები ჩართულობა</li> <li>○ ბუნებრივი კატასტროფების საფრთხე</li> <li>○ ბუნებრივი კატასტროფების შემცირების სტრატეგიული გეგმის არარსებობა</li> </ul>	<p><b>მიზნები და გზები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ ნარჩენების გადამუშავების ცენტრების დაარსება და ნარჩენების დახარისხება</li> <li>▪ სამოქალაქო საზოგადოების უფრო აქტიური ჩართულობის ხელშეწყობა</li> <li>▪ გარემოსდაცვითი ორგანიზაციების განვითარება და გაძლიერება</li> <li>▪ ცნობიერების ამაღლება გარემოს დაცვის შესახებ</li> <li>▪ ალტერნატიული გათბობის სისტემების განვითარების ხელშეწყობა</li> <li>▪ ნარჩენების მართვის დაგეგმვის ხელშეწყობა</li> <li>▪ ტყის მართვის დაგეგმვისა და ტყის ინვენტარიზაციის ხელშეწყობა</li> <li>▪ მედია კამპანიების, სარეკლამო სქემების, ღონისძიებების და ა.შ. ხელშეწყობა</li> <li>▪ ტყის განაშენიანების სქემის მხარდაჭერა</li> <li>▪ ეკოლოგიური საკითხების წინ წამოწევა სკოლებში</li> <li>▪ კატასტროფების შემცირების ღონისძიებების მხარდაჭერა</li> </ul>
<p><b>მთავარი მონაწილეები</b>  დაცული ტერიტორიების სააგენტო, გარემოს დაცვის სამინისტრო, ეროვნული სატყეო სააგენტო, ადგილობრივი თვითმმართველობის სასწავლო დაწესებულებები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მედია და ადგილობრივი მოსახლეობა</p>	

### 3.3 ადგილობრივი განვითარების საჭიროებების განსაზღვრა

SWOT ანალიზის პროცესის დროს გამართული ინტენსიური დისკუსიებისა და საჭიროებების შეფასების დროს სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობის შედეგად ბორჯომის განვითარების ჯგუფის წევრებმა გამოავლინეს პრობლემები და შესაძლებლობები, რომელთა წინაშეც დგას ბორჯომის მუნიციპალიტეტი. ამ პროცესმა ხელი შეუწყო კონკრეტული საჭიროებებისა და მოთხოვნების ერთიან შეფასებას სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონტექსტსა და მუნიციპალიტეტის პოტენციალთან მიმართებაში. ამ თანამონაწილეობრივი პროცესის შედეგად განისაზღვრა ქვემოთ ჩამოთვლილი უმნიშვნელოვანესი საჭიროებები, რომელთაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს განვითარების სტრატეგიაში:


1. ტურიზმის სფერო არის ბორჯომის ეკონომიკის ძირითადი მამოძრავებელი ძალა, თუმცა საჭიროა არსებული მომსახურებისა და რესურსების გაუმჯობესება და ტურიზმის ინოვაციური შესაძლებლობების განვითარება, რაც მოიხიდავს უფრო მეტ ტურისტს და სრულად გამოიყენებს ადგილობრივ ტურისტულ პოტენციალს.
2. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ხანგრძლივი ტურისტული ტრადიცია, საჭიროა ტურიზმისა და მომსახურების სექტორის მეტი პროფესიონალიზაცია, რათა შესაძლებელი გახდეს ეფექტური კონკურენციის გაწევა საერთაშორისო ტურიზმის ინდუსტრიაში.
3. საჭიროა თანამშრომლობის გაძლიერება ტურიზმის სექტორსა და სხვა სექტორებს შორის (სოფლის მეურნეობა, საცალო ვაჭრობა და ა. შ.), რაც ხელს შეუწყობს ინტეგრირებული ბიზნესის განვითარებას, რომელიც გააძლიერებს ადგილობრივ ეკონომიკას.
4. უნდა გაიზარდოს სოფლის მეურნეობის სექტორის პროდუქტიულობა მუნიციპალიტეტში - განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს მაღალი ხარისხის, მაღალი ღირებულებისა და ორგანულ პროდუქტებზე - უნდა გაიზარდოს სექტორის შემოსავლები და შემცირდეს სოფლად სიღარიბე.
5. ფერმერების სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა უნდა გაფართოვდეს ახალი სასოფლო-სამეურნეო ცოდნის, გამოცდილების გაცვლის, თანამშრომლობისა და ახალ ტექნიკასა და ტექნოლოგიებთან ადაპტაციის მეშვეობით.
6. სპორტი და კულტურა ხელს უწყობს ადგილობრივი საზოგადოების ერთიანობის გაძლიერებასა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას. ამიტომ სპორტული და კულტურული დაწესებულებები და აქტივობები ბორჯომში საჭიროებს მეტ განვითარებას, რათა ისინი გახდეს უფრო ადვილად ხელმისაწვდომი ბორჯომის ყველა მაცხოვრებლისთვის, განსაკუთრებით ახალგაზრდებისა და მუნიციპალიტეტის ვიზიტორებისთვის.
7. ბორჯომის ხელუხლებელი ბუნება მნიშვნელოვანი რესურსია მუნიციპალიტეტისთვის და ვიზიტორების მოზიდვის ძირითად ობიექტს წარმოადგენს. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყველა ძალისხმევა იქნას გაწეული ცნობიერების ასამაღლებლად და ისეთი ინიციატივების მხარდასაჭერად, რომელიც დაიცავს ადგილობრივ გარემოს და უზრუნველყოფს, რომ განვითარებასთან დაკავშირებული არცერთი საქმიანობა არ გამოიწვევს არავითარ ეკოლოგიურ ზიანს.

8. რადგან ბორჯომის მუნიციპალიტეტი მდებარეობს მთიან რეგიონში, იგი არაა დაცული სტიქიური უბედურებებისაგან, ამიტომ აუცილებელია ბუნებრივი კატასტროფების შემცირების ზომების შემუშავება.
9. საბოლოოდ კი, საჭიროა მჭიდრო თანამშრომლობა და ერთობლივი მოქმედებები ზემოთ აღწერილ საქმიანობებს შორის, რათა მიღწეული იქნას მუნიციპალიტეტის მაქსიმალური განვითარება.

#### 4. ადგილობრივი განვითარების სტრატეგია

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი განვითარების სტრატეგია წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ეკოლოგიური განვითარების ხელშეწყობისა და მისი მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების ხედვას. ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის შემუშავებისას, საკონსულტაციო პროცესში გამოიკვეთა ძირითადი მიზანი და ინტერვენციის ოთხი სტრატეგიული სფერო, რომლებიც წარმოადგენენ ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის ამოცანებს. თითოეული ამოცანის შემდეგ მოცემულია სასურველი შედეგები, რომელიც მკაფიოდ აღწერენ მოსალოდნელ ეფექტს. შემდეგ არის ინდიკატორები, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია შედეგებზე დაკვირვება და მათი გაზომვა. ამ სტრუქტურას, რომელიც ასახავს მიზანს, ამოცანებს, შედეგებს და მაჩვენებლებს, ეწოდება განხორციელების ლოგიკა. განხორციელების ლოგიკა იხილეთ ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე.

##### განხორციელების ლოგიკა ლოგიკა



*ბორჯომის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის ძირითადი მიზანი:*



**გაუმჯობესდეს ბორჯომის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხი და ბორჯომი გახდეს უფრო მიმზიდველი ადგილი ვიზიტორებისა და ტურისტებისთვის.**

ამ მთავარი მიზნის ფარგლებში განსაზღვრული ოთხი ამოცანა არის ინტეგრირებული ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის საფუძველი:

- *მდგრადი ტურიზმის წვლილის გაზრდა ადგილობრივ ეკონომიკაში, რაც იქნება სამაგალითო მთელი საქართველოსათვის*
- *სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის გაზრდა და დივერსიფიკაცია, და პროფესიული ცოდნის დონის ამაღლება, რაც ხელს შეუწყობს ფერმერულ მეურნეობებს გახდნენ უფრო მიმზიდველი და ამავდროულად მომგებიანი ბიზნესი*
- *სპორტული და კულტურული საქმიანობების გაძლიერება, რომელიც ხელს შეუწყობს ცხოვრების დონის ამაღლებას და გაზრდის საკუთარი კუთხის სიყვარულს*
- *გარემოს დაცვა ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენებით, მიწის და ნარჩენების ეფექტურად მართვა და ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის გააქტიურებას გარემოს დაცვის კუთხით*

შემდეგ ნაწილში მოცემულია დეტალური ინფორმაცია ოთხი ამოცანის შესახებ სასურველ შედეგებთან და ინდიკატორებთან ერთად, რომელიც სტრატეგიის მიზანის, ამოცანებისა და შედეგების მიღწევის დემონსტრირებას ახდენს.

**ამოცანა N 1: მდგრადი ტურიზმის წვლილის გაზრდა ადგილობრივ ეკონომიკაში, რაც იქნება სამაგალითო მთელი საქართველოსათვის**

რეგიონის და მისი განვითარების საჭიროებების ანალიზიდან ჩანს, რომ ტურიზმი ითვლება ბორჯომის ეკონომიკის გაძლიერების ერთ-ერთ მთავარ ბერკეტად. მუნიციპალიტეტში ჩამომსვლელი ტურისტების რაოდენობის ზრდა და მათ მიერ ეროვნული პარკის მონახულება იმის მაჩვენებელია, რომ არსებობს მოთხოვნა გაიზარდოს ტურისტული სერვისების რაოდენობა, განვითარდეს ტურისტებისათვის საცხოვრებელი ადგილები, გაუმჯობესდეს მომსახურებისა და დაწესებულებების ხარისხი და დამყარდეს კავშირი ტურიზმსა და სხვა სექტორებს შორის. ასევე, რადგან ვიზიტორების რაოდენობა იზრდება, აუცილებელია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ღირსშესანიშნაობებისა და იმ შესაძლებლობების შესახებ, რომლებიც ბორჯომს გააჩნია. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბუნებაზე დაფუძნებული ტურიზმისა და აგროტურიზმის განვითარებას. ამავდროულად, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ არცერთი სექტორის განვითარებამ არ მიაყენოს ზიანი გარემოს.

შედეგები	ინდიკატორები
1.1 გაუმჯობესდა არსებული და განვითარდა ახალი ტურისტული სერვისები, ბიზნესები და ობიექტები (ეკო და ბუნებრივ რესურსებზე დაფუძნებული ტურიზმის ჩათვლით)	1.1.1 შექმნილი ახალი ტურისტული შესაძლებლობების/ბიზნესების რაოდენობა (მაგ. ტურები, საცხოვრებელი, ატრაქციონები)  1.1.2 ტურიზმის სექტორში შექმნილი სამუშაო ადგილების რაოდენობა

<p>1.2 ტურიზმის სექტორში შემუშავდა გაუმჯობესებული სტანდარტები ტრეინინგების, პროფესიული ბიზნესის განვითარებისა და სერტიფიცირების გზით.</p>	<p>1.2.1 ტურისტული მომსახურე პერსონალის რაოდენობა, რომლებსაც ჩაუტარდება ტრეინინგები და ამაღლებენ კვალიფიკაციას.</p>
<p>1.3 ჩამოყალიბდა თანამშრომლობა ტურიზმის სფეროსა და სხვა სფეროებს (სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, ტრანსპორტი და ა.შ.) შორის, ბიზნესის შესაძლებლობების გაფართოების მიზნით.</p>	<p>1.3.1 ოფიციალური კავშირების (მაგ. ასოციაციების) და სხვადასხვა პარტნიორების ტურისტულ სექტორთან გაფორმებული ხელშეკრულებების რაოდენობა</p>
<p>1.4 გაიზარდა საზოგადოების ინტერესი და ამაღლდა ცნობიერება ბორჯომისა და მისი შემოგარენის მიმართ სარეკლამო და მარკეტინგული კამპანიების საშუალებით</p>	<p>1.4.1 ინფორმირებული მიზნობრივი ჯგუფების რაოდენობა</p>

*შედეგი 1.1: გაუმჯობესდა არსებული და განვითარდა ახალი ტურისტული სერვისები, ბიზნესები და ობიექტები (ეკო და ბუნებრივ რესურსებზე დაფუძნებული ტურიზმის ჩათვლით)*

ბორჯომში არის მრავალი ტურისტული ღირშესანიშნაობა და ობიექტი. ამასთანავე, არსებობს გაუმჯობესებული მომსახურებისა და შესაძლებლობების შეთავაზების პოტენციალი, რაც მოიზიდავს უფრო მეტ ტურისტს და შექმნის მათი უფრო გრძელი ვადით დარჩენის შესაძლებლობას რეგიონში. სწორედ ასეთი ტურისტული მომსახურება და ღირშესანიშნაობები განაპირობებს ბორჯომის ტურისტული დანიშნულების ადგილად ქცევას მთელი წლის განმავლობაში. ის შეიძლება ასევე მოიცავდეს საცხოვრებელი ადგილების, ახალი რესტორნებისა და კაფეების, ადგილობრივი რეწვის, საზაფხულო და ზამთრის სპორტთან დაკავშირებული აქტივობების, ტურების, პარკებისა და ღია სივრცეების, ახალი ბილიკების და ა.შ. განვითარებას (და არა მხოლოდ ამას). ასეთი ობიექტებისა და ღირშესანიშნაობების განვითარება ხელს შეუწყობს სამუშაო ადგილების რაოდენობის ზრდას ტურისტულ სექტორში.

*შედეგი 1.2: ტურიზმის სექტორში შემუშავდა გაუმჯობესებული სტანდარტები ტრეინინგების, პროფესიული ბიზნესის განვითარებისა და სერტიფიცირების გზით.*

თუკი ბორჯომში ტურიზმის სექტორს სურს, რომ მიაღწიოს საერთაშორისო სტანდარტებს, აუცილებელია, გაუმჯობესდეს ვიზიტორებისათვის შეთავაზებული მომსახურების ხარისხი. ეს ნიშნავს, რომ გაუმჯობესდეს პერსონალის სწავლება და ამაღლდეს მათი კვალიფიკაცია სტუმრებთან ურთიერთობის უნარების, კომუნიკაციის, უცხო ენებისა და აგრეთვე, იმ ტექნიკური ცოდნის თვალსაზრისით, რაც დაკავშირებულია კონკრეტულ ტურისტულ საქმიანობებთან. ამ უნარების დაუფლება და გამომუშავება შესაძლებელია მხოლოდ პროფესიული მომზადების მეშვეობით და სასურველია, რომ მიღებული კვალიფიკაცია გამყარებული იყოს სერტიფიკატებით.

*შედეგი 1.3: ჩამოყალიბდა თანამშრომლობა ტურიზმის სფეროსა და სხვა სფეროებს (სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, ტრანსპორტი და ა.შ.) შორის, ბიზნესის შესაძლებლობების გაფართოების მიზნით*

ბორჯომში ტურიზმის სექტორის განვითარებასთან ერთად, რეგიონში არის სხვა სექტორების განვითარების პოტენციალიც. მაგალითად, ადგილობრივად წარმოებული, ჯანსაღი საკვები პროდუქტებისა და მზა კერძების მიწოდება შეიძლება გაიზარდოს სასტუმროების სექტორთან და სოფლის მეურნეობის სექტორთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობის მეშვეობით (სასტუმროები, საოჯახო სასტუმროები, რესტორნები და ა.შ.). ასევე, ტურიზმის განვითარებით მეტად ისარგებლებენ ადგილობრივი ხელოსნები, აგრეთვე ქალებიც, რადგან დამატებითი დასაქმების შესაძლებლობები იქნება სამშენებლო სექტორში (მუშახელი, კალატოხები, ელექტრიკოსები, ინტერიერის დიზაინერები და ა.შ.). ტურიზმსა და სხვა სექტორებს შორის თანამშრომლობის გზით გაიზრდება მთლიანად სექტორის როლი სამუშაო ადგილების შექმნაში, რაც დამატებით სარგებელს მოუტანს მუნიციპალიტეტს.

*შედეგი 1.4: გაიზარდა საზოგადოების ინტერესი და ამაღლდა ცნობიერება ბორჯომის და მისი შემოგარენის მიმართ სარეკლამო და მარკეტინგული კამპანიების საშუალებით*

ბორჯომის მუნიციპალიტეტი, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილი, კარგად არის ცნობილი და წარმოადგენს ეროვნული ტურიზმის მარკეტინგული ინიციატივების ნაწილს. მიუხედავად ამისა, საჭიროა დამატებითი ძალისხმევა რეგიონალურ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, რათა მიწოდებული იქნას ინფორმაცია ტურისტული პოტენციალის, ახალი შეთავაზებებისა და შესაძლებლობების შესახებ. არსებობს რამდენიმე შესაძლო მიდგომა, რომლებიც ხელმისაწვდომია ტურიზმის მარკეტინგისთვის ბორჯომში, მათ შორის საინფორმაციო მასალები (მაგალითად, ბროშურები, რუკები), ინტერნეტ პლატფორმები, რაც მოიცავს ვებ-გვერდის შექმნას, სასტუმროებისა და საოჯახო სასტუმროებისთვის საიტების დაჯავშნას, სოციალურ მედია კამპანიებს, ისევე, როგორც კონკრეტულ სარეკლამო ღონისძიებებს (რომლებიც ფართოდ გაშუქდება მედიაში) ან ფილმებს რეგიონის შესახებ. ასეთი მარკეტინგული ინიციატივების წარმატება უნდა გაიზომოს იმ ადამიანთა რაოდენობით, რომელთაც ის მოიცავს და ახალი ვიზიტორების რაოდენობით, რომლებიც ჩამოდიან მუნიციპალიტეტში.

**ამოცანა N2: სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის გაზრდა და დივერსიფიკაცია და პროფესიული ცოდნის დონის ამაღლება, რაც ხელს შეუწყობს ფერმერულ მეურნეობებს გახდნენ უფრო მიმზიდველი და ამავდროულად მომგებიანი ბიზნესი**

საქართველოს აქვს უზარმაზარი პოტენციალი, რათა გააძლიეროს ეკონომიკის სასოფლო-სამეურნეო მიმართულება. მიუხედავად იმისა, რომ ბორჯომის მთიან ადგილებში სოფლის მეურნეობის შესაძლებლობები უფრო შეზღუდულია, ამ სექტორს კვლავინდებურად მნიშვნელოვანი როლი აკისრია საარსებო საშუალებების უზრუნველყოფასა და სოფლის მოსახლეობის შემოსავლების ზრდაში. იმისათვის, რომ ფერმერებს ბორჯომში ჰქონდეთ გაცილებით მეტის მომცემი მომავლის პერსპექტივა, საჭიროა სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის გაზრდა, წარმოების დივერსიფიკაცია და ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლება. ეს შეიძლება მიღწეულ იქნას ახალი სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიებისა და მაღალხარისხოვანი კულტურების გამოყენებით, ეფექტური მიწათსარგებლობითა და მიწის მართვით, ფერმერებს შორის თანამშრომლობის მეშვეობით, ეკონომიკის მასშტაბების უპირატესობების გამოყენებით და ტრენინგებისა და სასწავლო ტურების მეშვეობით ფერმერთა ცოდნის დონის ამაღლებით. ასევე გადაწყვეტია, რომ სოფლის მეურნეობის სექტორი გახდეს უფრო მიმზიდველი ახალგაზრდებისათვის და განისაზღვროს ახალი გზები მათი ჩართულობის ხელშეწყობისა და სტიმულირებისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში სოფლის მეურნეობა რეგიონში შემცირდება, რადგან ახალგაზრდები კვლავაც გაემგზავრებიან ურბანულ ცენტრებში და საზღვარგარეთ.

შედეგები	ინდიკატორები
2.1 გაიზარდა ინოვაციები სოფლის მეურნეობის სფეროში, ხელი შეეწყო ბიო-პროდუქტების წარმოებას და გამოიყენება ახალი სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიები და ტექნიკა.	2.1.1. ფერმერებისა და სასოფლო კავშირების მიერ გამოყენებული ახალი სასოფლო-სამეურნეო დანადგარების, ტექნიკისა და ტექნოლოგიის რაოდენობა
2.2 გაუმჯობესდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ხარისხი, განვითარდა ახალი პროდუქტების წარმოება და გაიზარდა სურსათის უვნებლობის სტანდარტები	2.2.1 ფერმერების მიერ წარმოებული მაღალი ხარისხის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვების ზრდის პროცენტულობა  2.2.2 ფერმერების მიერ პროდუქტის ხარისხის გაუმჯობესებისთვის მიღებული სერთიფიკატების ან ბრენდირების რაოდენობა
2.3 ჩამოყალიბდა საბაზრო კავშირები სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლებს, გადამამუშავებლებსა და მომსახურების მიმწოდებლებს შორის	2.3.1 ბაზრობებისა და მარკეტინგული საქმიანობების რაოდენობა  2.3.2 სოფლის მეურნეობის სფეროს წარმომადგენლებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების რაოდენობა
2.4 გაუმჯობესდა და ჩამოყალიბდა ადგილობრივი გადამამუშავებელი სერვისები	2.4.1 ახლად დაარსებული და გაძლიერებული გადამამუშავებელი საწარმოების რაოდენობა
2.5 ამაღლდა სასოფლო-სამეურნეო ცნობიერება და მმართველობითი უნარები	2.5.1 გადამზადებული ადამიანებისა და მიღებული კვალიფიკაციების რაოდენობა

შედეგი 2.1: გაიზარდა ინოვაციები სოფლის მეურნეობის სფეროში, ხელი შეეწყო ბიო-პროდუქტების წარმოებას და გამოიყენება ახალი სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიები და ტექნიკა.

არსებული ტექნიკისა და ტექნოლოგიების დონე ბორჯომის საოჯახო ფერმებში ძალიან დაბალია და ხშირად არაადაპტაციური. საჭიროა ასეთი ტექნიკის განახლება, ისევე როგორც ახალი და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა (როგორცაა სასათბურე მეურნეობა და სარწყავი სისტემები) სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებისათვის მუნიციპალიტეტში, რაც დააკმაყოფილებს ტურიზმის სექტორიდან წამოსულ ადგილობრივ მოთხოვნილებას. ფერმების დივერსიფიკაცია და ახალი მაღალხარისხიანი კულტურების გაშენება ასევე წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო სექტორის განვითარებისა და აღორძინების საშუალებას. უნდა წახალისდეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია ახალი ტექნიკის საერთო საკუთრებაში შექმნით, ახალი პროდუქტების ერთობლივად წარმოებით, წარმოებისა და გაყიდვების ერთობლივი მართვით. ასეთი მოქმედებების შედეგად გაიზრდება პროდუქციის რაოდენობა და ხარისხი გაყიდვებისა და შემოსავლების შესაბამის ზრდასთან ერთად.

*შედეგი 2.2: გაუმჯობესდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ხარისხი, განვითარდა ახალი პროდუქტების წარმოება და გაიზარდა სურსათის უვნებლობის სტანდარტები*

ფერმერები ბორჯომში წარმოებისთვის იყენებენ ტრადიციული მეთოდებს, რითაც ისინი ამაყობენ. ბევრი საკუთარ თავს "ბიო-პროდუქტების მწარმოებლად" მიიჩნევს, თუმცა პროდუქტის ხარისხისა და მარკირების სისტემა არა არის კარგად განვითარებული. მეზობელ ქვეყნებში (მაგალითად, თურქეთში) არის უამრავი უცხოელი კონკურენტი, რომელიც აწარმოებს ქართველი ფერმერების პროდუქციაზე იაფ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას. ასე რომ, კონკურენციის გაწევის ერთ-ერთი გზა მაღალი ხარისხის და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებაა. ხელი უნდა შეეწყოს მაღალი ხარისხის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებას, რომელიც დააკმაყოფილებს სურსათის უვნებლობის ყველა მოთხოვნას, აგრეთვე, აქცენტი გაკეთდეს სერტიფიცირებასა და ბრენდინგზე. ამ გზით უფრო გაადვილდება ადგილობრივი პროდუქტების (ყველი, თაფლი, მურაბა და ა.შ.) მაღაზიების, კომერციული სუპერმარკეტებისა და სასტუმროებისათვის შეთავაზება.

*შედეგი 2.3: ჩამოყალიბდა საბაზრო კავშირები სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლებს, გადამამუშავებლებსა და მომსახურების მიმწოდებლებს შორის*

რაც უფრო უკეთესია საბაზრო კავშირები სოფლის მეურნეობის მწარმოებლებს, გადამამუშავებლებსა და მომსახურების მიმწოდებლებს შორის (როგორცაა ნედლეულის მიმწოდებლები, ვეტერინარები, ტრაქტორისტები და ა.შ.), მით უფრო მეტად ქმედითი და ეფექტიანი იქნება სექტორი. მხარეებს შორის გაუმჯობესებული თანამშრომლობა თითოეულ მხარეზე დადებითად აისახება და ისინი სარგებელს მიიღებენ ამგვარი პარტნიორობიდან. ასეთი თანამშრომლობა შეიძლება გაძლიერდეს სახელშეკრულებო შეთანხმებების მეშვეობით. კავშირები შეიძლება ასევე გამყარდეს სხვადასხვა ღონისძიებების საშუალებით, მაგალითად სასოფლო-სამეურნეო ბაზრობებითა და მარკეტინგული ინიციატივებით.

*შედეგი 2.4: გაუმჯობესდა და ჩამოყალიბდა ადგილობრივი გადამამუშავებელი სერვისები.*

დღეისათვის ბორჯომის მუნიციპალიტეტში ძალიან ცოტა გადამამუშავებელი საწარმოა, რაც იმას ნიშნავს, რომ ფერმერებს თავისი პროდუქციის გასაყიდად შედარებით მცირე ბაზარი აქვთ. ეს ასევე ნიშნავს, რომ ადგილობრივად წარმოებულ პროდუქციას ღირებულება მცირედ ემატება. იქ, სადაც ბაზარი ამის შესაძლებლობას მოგვცემს, უნდა წახალისდეს გადამამუშავების ინიციატივები, ხელი შეეწყოს რძის შემგროვებელი ცენტრების, ყველის გადამამუშავებელი საწარმოების, შესანახი და გამაგრებელი დაწესებულებებისა და გამანაწილებელი ცენტრების განვითარებას. შესაძლებელია, რომ ეს გადამამუშავებელი ინფრასტრუქტურა შეიქმნას სხვადასხვა პარტნიორობითან თანამშრომლობის გზით, როგორებიც არიან ფერმერები, გადამამუშავებლები ან მეწარმეები (იხ. ზემოთ მოცემული შედეგი).

*შედეგი 2.5: ამაღლდა სასოფლო-სამეურნეო ცნობიერება და მმართველობითი უნარები*

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამაღლდეს ფერმერების სასოფლო-სამეურნეო ცოდნა, რადგან მრავალი მათგანი ჯერ კიდევ იყენებს ტრადიციულ ფერმერულ პრაქტიკას, რაც აისახება

სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაბალ დონეზე. შეიძლება ორგანიზებული იქნას სასწავლო კურსები ფერმერებისთვის შემდეგ სფეროებში: ახალი ტექნოლოგიები, წარმოების სპეციალური ტექნოლოგია, პესტიციდებისა და სასუქების ეკონომიური გამოყენება, ბიო მეურნეობა და ეკოლოგიური წარმოება. არსებულ მთა-გორიან პირობებში და პასტორალური მეურნეობების რაოდენობის გათვალისწინებით, აუცილებელია ვასწავლოთ ფერმერებს, თუ როგორ გამოიყენონ უწყვეტად ალპური მდელოები და საძოვრები და როგორ აიცილონ თავიდან გადამოვება. აუცილებელია სასწავლო კურსების ორგანიზება, რათა ვასწავლოთ ფერმერებს ფერმის მართვა, ბიზნესის დაგეგმვა და ფინანსური მენეჯმენტი. ასევე, ფერმერებმა შეიძლება ისწავლონ აგრო-ტურიზმის შესაძლებლობები, ისევე როგორც პროდუქციის დივერსიფიკაცია (მეცხოველეობა, პირუტყვის საკვების წარმოება, მცენარეული პროდუქციის წარმოება, მათ შორის ახალი კულტურების, როგორცაა კენკრა, სოკო და ა.შ.).

**ამოცანა N3: სპორტული და კულტურული საქმიანობების გაძლიერება, რომელიც ხელს შეუწყობს ცხოვრების დონის ამაღლებას და გაზრდის საკუთარი კუთხის სიყვარულს**

ბორჯომის მუნიციპალიტეტს საამაყო ტრადიცია აქვს სპორტსა და კულტურაში, მაგრამ სპორტული და კულტურული ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა ჯერაც საჭიროებს განახლებას და განვითარებას იმისათვის, რომ ხელმისაწვდომი იყოს მეტი ადამიანისათვის. ეს ეხება განსაკუთრებით ახალგაზრდობას, რადგან სპორტულმა და კულტურულმა ღონისძიებებმა შეიძლება გაზარდოს მათი სიყვარული მუნიციპალიტეტისა და რეგიონისადმი. ასევე, მათ საშუალება მიეცემატ განავითარონ თავიანთი სპორტული და შემოქმედებითი შესაძლებლობები. მუნიციპალიტეტის ფარგლებში არსებული კულტურული ძეგლები ასევე საჭიროებენ გაუმჯობესებასა და შენარჩუნებას, რადგან ისინი შეიძლება იყვნენ ძირითადი ყურადღების ობიექტი ვიზიტორებისთვის. ამასთან, უნდა განვითარდეს საზაფხულო და ზამთრის ახალი სპორტული საქმიანობები, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის, ამოქმედებას მთელი წლის განმავლობაში.

შედეგები	ინდიკატორები
3.1 გაზრდილი ხელმისაწვდომობა ადგილობრივი მოსახლეობის, თემებისა და ტურისტებისთვის სპორტულ და კულტურულ ობიექტებზე, აღჭურვილობასა და ღონისძიებებზე	3.1.1 ადამიანების რაოდენობა ვისაც ხელი მიუწვდება ახალ და გაუმჯობესებულ სპორტულ და კულტურულ აღჭურვილობებზე/ ობიექტებზე და შესაძლებლობებზე
3.2 გაუმჯობესებული და დაცული ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობა	3.2 აღდგენილი და დაცული კულტურული მემკვიდრეობის ადგილების რაოდენობა

<p>3.3 გაიზარდა სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებში ადგილობრივი მოსახლეობის (განსაკუთრებით, ახალგაზრდების) ჩართულობა</p>	<p>3.3.1 სპორტულ და კულტურულ აქტივობებში/კლუბებში/შეჯიბრებებში მონაწილე ადგილობრივი მოსახლეობის რაოდენობა</p> <p>3.3.2 ახლად შექმნილი სპორტული და კულტურული შესაძლებლობების რაოდენობა</p>
<p>3.4 ხელი შეეწყო ნიჭიერი ბორჯომელების (განსაკუთრებით, ახალგაზრდების) ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე პოპულარიზაციას</p>	<p>3.4.1 პიროვნებების რაოდენობა ვინც ახალი შესაძლებლობების გამოყენებით წარმატებას მიაღწია სპორტსა და კულტურის სფეროში</p>

*შედეგი 3.1: გაზრდილი ხელმისაწვდომობა ადგილობრივი მოსახლეობის, თემებისა და ტურისტებისთვის სპორტულ და კულტურულ ობიექტებზე, აღჭურვილობასა და ღონისძიებებზე*

მნიშვნელოვანია არსებული სპორტული და კულტურული ობიექტების განახლება და ახალი საქმიანობების დაწყება, რაც უზრუნველყოფს აქტიურ და ჯანსაღ შესაძლებლობებს ადგილობრივი მოსახლეობისა და ბორჯომის ვიზიტორებისათვის. სპორტული ობიექტები, როგორცაა დახურული დარბაზები ტრადიციული და ახალი სპორტული მიმართულებებისათვის, ასევე სტადიონები, საჭიროებენ უფრო მეტ განვითარებას. ანალოგიურად ისეთი ობიექტები, როგორცაა კინოთეატრები, თეატრები, საცეკვაო დარბაზები, ბიბლიოთეკები და ა.შ., საჭიროებენ განახლებას და აქ უნდა შეიქმნას ახალი კულტურული კლუბები. ასევე ტურიზმის სექტორის გათვალისწინებით არსებობს უამრავი შესაძლებლობები სპორტის შემდეგი სახეობების განვითარებისთვის: კლდეზე ცოცვა, ჯომარდობა, ტრეკინგი, მთის ველოსიპედები და სკანდინავიური თხილამურებით რბოლა და ა.შ.

*შედეგი 3.2: გაუმჯობესებული და დაცული ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობა*

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მდიდარი ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობა ძალიან მიმზიდველია როგორც ადგილობრივი მოსახლეობის, ასევე ქვეყნის შიგნიდან და გარედან ჩამოსული ტურისტებისათვის. ამ ბუნებრივ რესურსს სჭირდება გაფრთხილება და ყველანაირად უნდა ვეცადოთ, რათა შეინარჩუნდეს ველური და ხელუხლებელი ბუნება. არსებობს ისტორიული მნიშვნელობის ბევრი ადგილი, რომელიც იქცევა გარე ვიზიტორების ყურადღებას რეგიონში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ასეთი ადგილებისა და ბუნებრივი რესურსების შენარჩუნების ინიციატივები, იმ სხვა ქმედებებთან ერთად, რაც საშუალებას მისცემს ხალხს ისიამოვნოს ამ ღირსშესანიშნაობების ნახვით, ამ ადგილების ან გარემოსათვის ყოველგვარი ზიანის მიყენების გარეშე.

*შედეგი 3.3: გაიზარდა სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებში ადგილობრივი მოსახლეობის (განსაკუთრებით, ახალგაზრდების) ჩართულობა*

ცნობილია, რომ სპორტული აქტივობა და ვარჯიში უზრუნველყოფს ჯანსაღი ცხოვრების წესს და მან შესაძლოა, გააუმჯობესოს პიროვნების ზოგადი კეთილდღეობა. ამის გამო მნიშვნელოვანია, რომ ყველა ადამიანსა და ასაკობრივ ჯგუფს მუნიციპალიტეტში ჰქონდეს ამ საქმიანობაზე

ხელმისაწვდომობა და კარგად იყოს ინფორმირებული არსებული შესაძლებლობების შესახებ. ამიტომ უნდა დაიწყოს კამპანიები და ღონისძიებები, რომელიც ინფორმაციას მიაწვდის ხალხს ამგვარი საქმიანობების სარგებელზე და წახალისებს ადამიანებს შეუერთდნენ სხვადასხვა სპორტულ ჯგუფებს ან კულტურულ ღონისძიებებს.

*შედეგი 3.4: ხელი შეეწყო ნიჭიერი ბორჯომელების (განსაკუთრებით, ახალგაზრდების) ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე პოპულარიზაციას*

ქართველი ბავშვები ადრეულ ასაკში ეცნობიან ეროვნული მუსიკისა და ცეკვის ტრადიციებს. მუნიციპალიტეტში არსებობს კლუბები, სადაც ემზადებიან მუსიკალური და ცეკვის ჯგუფები და ასევე არსებობს მუსიკალური სკოლა. საქართველოს ეს ტრადიციული კულტურული ძეგლები და უნიკალური ეროვნული ტრადიციები უნდა იყოს დაცული და უფრო მეტად განვითარდეს, რათა უფრო მეტ ახალგაზრდას მიეცეს საშუალება მიადწიოს პროფესიონალიზმის მაღალ დონეს და შეძლოს წარმოადგინოს საკუთარი ნიჭი ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ, ახალგაზრდა ნიჭიერ ადამიანებს კულტურისა და სპორტის სფეროში ჰქონდეთ ხელშეწყობა და შეძლონ შემდგომი განვითარება.

**ამოცანა N4: გარემოს დაცვა ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენებით, მიწის და ნარჩენების ეფექტურად მართვა და ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის გააქტიურებას გარემოს დაცვის კუთხით.**

ბორჯომი ძალიან მდიდარია ბუნებრივი რესურსებით. სამწუხაროდ, ამ რესურსებზე ზრუნვა ამჟამად არასაკმარისად ხდება. ეს აშკარაა ტყეების მაგალითზე, სადაც არაღებულ ტყის ჭრამ გამოიწვია დეგრადაცია და საფრთხე შეექმნა ტყის დამცველ ფუნქციას. გარდა ამისა, ალპური სამოვრებიც საფრთხის ქვეშაა გადამოვების შედეგად და ველურ ბუნებას ემუქრება ბრაკონიერობის "ტრადიციული" საფრთხე. დამატებითი ეკოლოგიური პრობლემები დაკავშირებულია ჰაერისა და წყლის დაბინძურებასთან და ნარჩენების არაეფექტურ მართვასთან. ამიტომ, აუცილებელია, რომ ადგილობრივი მოსახლეობა უფრო მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდოს ბუნებრივ გარემოს და მიიღოს მეტი ზომები მუნიციპალურ დონეზე, რათა გაუმჯობესდეს ნარჩენების მართვა და გარემოს დაცვა.

შედეგები	ინდიკატორები
4.1 შემცირდა გარემოს დეგრადაცია (მაგ. ხეების უკანონო ჭრა, ნარჩენების არასწორი მართვა, სამოვრების არამდგრადი გამოყენება) და გაუმჯობესდა ბუნებრივი რესურსების დაცვა და კონსერვაცია მიზანმიმართული საქმიანობების შედეგად	4.1.1 გარემოს დაზიანების გაზომვადი შემცირება, როგორც პირდაპირი შედეგი პრევენციული და დაცვითი ღონისძიებებისა
4.2 განათლების, ტრენინგების, საინფორმაციო მომსახურების, მულტი-მედია საქმიანობების, პუბლიკაციებისა და საკანონმდებლო აქტების გზით გარემოსა და მასთან დაკავშირებულ	4.2.1 მოსახლეობის რაოდენობა, რომლებმაც მიიღო ინფორმაცია გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ ცნობიერების ამაღლების საქმიანობების გზით



<p>საკითხებზე გაზრდილი ცნობადობა და ჩართულობა</p> <p>4.3 მნიშვნელოვნად შემცირდა ბუნებრივი კატასტროფების რისკი (მაგ. წყალდიდობა, მეწყერი, ტყის ხანძარი და სხვ.) პრევენციული ზომებისა და საჭირო რესურსების გამოყენების გზით</p>	<p>4.3.1 კატასტროფების რისკის შემცირების პრევენციული ღონისძიებების რაოდენობა</p> <p>4.3.2 კატასტროფების რისკის შემცირების ტრენინგებზე დამსწრე პირების და არასამთავრობო ორგანიზაციების (NGO) რაოდენობა</p>
---	---

*შედეგი 4.1: შემცირდა გარემოს დეგრადაცია (მაგ. ხეების უკანონო ჭრა, ნარჩენების არასწორი მართვა, საძოვრების არამდგრადი გამოყენება), და გაიზარდა ბუნებრივი რესურსების დაცვა და კონსერვაცია მიზანმიმართული საქმიანობების შედეგად*

მნიშვნელოვანია, რომ განისაზღვროს ზომები, რომელიც ხელს შეუწყობს ტყეების, საძოვრების ჰაერის დეგრადაციის, წყლის დაბინძურებისა და ზედმეტი ნარჩენების დაგროვების შემცირებას ან პრევენციას ბორჯომის მუნიციპალიტეტში. მნიშვნელოვანია, რომ შემუშავებული იქნას სტრატეგია ტყეებში ხის უკანონო ჭრის გასაკონტროლებლად ტყის დაცვის სამსახურების რეგიონულ და ეროვნულ ხელმძღვანელობასთან ერთად. უნდა გამოინახოს ალტერნატიული საწვავი და გათბობის სისტემები, რაც შეამცირებს ხის უკანონო ჭრას. კრიტიკული მნიშვნელობა აქვს და გადაუდებელ საჭიროებას წარმოადგენს ნარჩენი წყლების გამტარი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და შესაბამისი ზომის ნაგავსაყრელების და მყარი ნარჩენების გადამუშავების ცენტრების განვითარება. რეგიონში და ეროვნულ დონეზე დიდი ცოდნა და გამოცდილება არსებობს გარემოსდაცვით საკითხებში, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივი, რეგიონული და ეროვნული არასამთავრობო ორგანიზაციები და აქტიური დაინტერესებული მხარეები ჩაერთონ დაცვისა და შემარბილებელი ღონისძიებების შემუშავებაში.

*შედეგი 4.2: განათლების, ტრენინგების, საინფორმაციო მომსახურების, მულტი-მედია საქმიანობების, პუბლიკაციებისა და საკანონმდებლო აქტების გზით გარემოსა და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე გაზრდილი ცნობადობა და ჩართულობა*

ბორჯომის მუნიციპალიტეტში არსებული ეკოლოგიური პრობლემების გამო ადგილობრივმა მოსახლეობამ უნდა იცოდეს, თუ როგორ უნდა შეამციროს ზედმეტი ნარჩენების რაოდენობა, როგორ დაიცვას გარემო და როგორი ურთიერთკავშირია სხვადასხვა პრობლემებს შორის. წარსულში ბავშვებმა და ახალგაზრდებმა არაერთხელ მიიღეს კარგი გამოცდილება გარემოსდაცვითი ტრენინგების მეშვეობით. ასევე, სასარგებლო იქნება ინფორმაციის მიწოდება სხვა მუნიციპალიტეტების გამოცდილებიდან საუკეთესო მაგალითების სახით, რომელებიც დაკავშირებულია გარემოსდაცვით სტრატეგიასთან. მუნიციპალიტეტს არასამთავრობო ორგანიზაციებთან და გარემოსდაცვით დაინტერესებულ მხარეებთან ერთად შეუძლია გამოიყენოს ფართო სპექტრის საინფორმაციო არხები, რათა ინფორმაცია მიაწოდოს საზოგადოებას გარემოსდაცვით საკითხებზე და მხარი დაუჭიროს მათ მონაწილეობას გარემოსდაცვით საქმიანობაში.

*შედეგი 4.3: მნიშვნელოვნად შემცირდა ბუნებრივი კატასტროფების რისკი (მაგ. წყალდიდობა, მეწყერი, ტყის ხანძარი და სხვ.) პრევენციული ზომებისა და საჭირო რესურსების გამოყენების გზით*

ბუნებრივი რესურსების არამდგრადი გამოყენება და ცუდი მართვა მოკლევადიანი მოგების მისაღებად საფრთხეს უქმნის ბუნებრივ ეკოსისტემებს და შეიძლება გამოიწვიოს სტიქიური კატასტროფების საშიშროების გაზრდა. ამიტომ აუცილებელია, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო და სამოქალაქო დაწესებულებამ ერთად იმუშაოს რისკის შემცირებისათვის. აუცილებელია პრევენციული ზომების მიღება, რათა შემცირდეს სტიქიური უბედურებების შესაძლებლობა და ასევე საჭიროა რეაგირების სამსახურის სათანადო აღჭურვა, რათა მათ სათანადოდ შეძლონ თავიანთი ფუნქციების შესრულება.

## 5. ორგანიზაციული სტრუქტურა

### 5.1 ბორჯომის განვითარების ჯგუფი

ბორჯომის განვითარების ჯგუფი არის ნებაყოფლობითი ორგანო, რომელიც შედგება კერძო და საჯარო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან. იგი არის მთავარი გადაწყვეტილების მიმღები ორგანო და შეასრულებს შემდეგ ამოცანებსა და მოვალეობებს:

ა) თემებთან კონსულტაციების შედეგად შეიმუშაოს, დაადასტუროს და განახორციელოს ადგილობრივი განვითარების სტრატეგია;

ბ) მიაწოდოს სრული და ამომწურავი ინფორმაცია ბორჯომის საზოგადოებას ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის შესახებ და ფართოდ გაავრცელოს ინფორმაცია საზოგადოებაში საგრანტო განაცხადების წარდგენის ყველა პროცედურასთან დაკავშირებით და განმარტოს ეს პროცედურები.

გ) შექმნას შეფასებისა და შერჩევის არადისკრიმინაციული და გამჭვირვალე პროცედურები (იხ. მე-6 პარაგრაფი) ქვე-პროექტების განხილვისა და შერჩევის შესახებ;

დ) უზრუნველყოს თემებთან კონსულტაციების შედეგად შემუშავებული ადგილობრივი განვითარების სტრატეგიასთან თანხვედრა ქვე-პროექტების შერჩევისას, იმ ქვე-პროექტებისათვის პრიორიტეტის მინიჭების მეშვეობით, რომლებიც საუკეთესოდ აკმაყოფილებენ ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის მიზნებს, ამოცანებსა და შედეგებს;

ე) მიიღოს და შეაფასოს ყველა ქვე-პროექტის განაცხადი იმ კრიტერიუმების შესაბამისად, რომლებიც ასახულია ადგილობრივი განვითარების სტრატეგიაში;

ვ) შეარჩიოს ყველაზე ძლიერი ქვე-პროექტები და განსაზღვროს დაფინანსების ოდენობა ანგარიშვალდებული ორგანოსთვის<sup>6</sup> დასამტკიცებლად წარდგენამდე;

ზ) განახორციელოს თემის მიერ წარმართული ადგილობრივი განვითარების სტრატეგიისა და შერჩეული ქვე-პროექტების მონიტორინგი და შეაფასოს მათი ეფექტურობა და სარგებელი რეგიონისთვის.

---

<sup>6</sup> Mercy Corps არის პროექტის დაფინანსებაზე 2016/17 წლებში ანგარიშვალდებული ორგანო

## 5.2 ბორჯომის განვითარების ჯგუფის წევრობა

ბორჯომის განვითარების ჯგუფის წევრობა ნებაყოფლობითა და უსასყიდლო. ბორჯომის განვითარების ჯგუფი დაკომპლექტდება კერძო და საჯარო წარმომადგენლებისგან, რომლებიც არჩეული იქნებიან ბორჯომის მუნიციპალიტეტიდან. სოფლის განვითარების მიდგომის პრინციპების თანახმად ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი დაკომპლექტდება მინიმუმ 51% კერძო სექტორის წარმომადგენლებისგან და მაქსიმუმ 49% საჯარო სექტორიდან.

ბორჯომის განვითარების ჯგუფს ეყოლება მაქსიმუმ 29 წევრი<sup>7</sup>, რომელთაგანაც მინიმუმ 17 წევრი უნდა ესწრებოდეს შეხვედრას ნებისმიერი გადაწყვეტილების მისაღებად. როდესაც ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი იღებს გადაწყვეტილებას ნებისმიერი ქვე-პროექტის განაცხადის შესახებ, საჭიროა შენარჩუნდეს შემდეგი ბალანსი: 51% კერძო სექტორის და 49% საჯარო სექტორის წარმომადგენლები.

ბორჯომის განვითარების ჯგუფს ეყოლება თავმჯდომარე, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს განვითარების ჯგუფის შეხვედრებს, ხოლო სამუშაოს შესრულებაში მას დახმარებას გაუწევს ორი ვიცე-თავმჯდომარე. თავმჯდომარეს ირჩევს ბორჯომის განვითარების ჯგუფი და ის უნდა იყოს კერძო სექტორის წევრი, ხოლო ერთი ვიცე-თავმჯდომარე უნდა იყოს კერძო სექტორიდან, ხოლო მეორე ვიცე-თავმჯდომარე - საჯარო სექტორიდან. განვითარების ჯგუფის ეს არჩეული წევრები თავის მოვალეობას შეასრულებენ 2017 წლის აგვისტოს ბოლომდე. თუ განვითარების ჯგუფის წარმომადგენელი გააცდენს ზედიზედ სამ შეხვედრას, ან არასათანადოდ შეასრულებს თავის ფუნქცია-მოვალეობას, მაშინ მას მოეთხოვება ბორჯომის განვითარების ჯგუფის დატოვება და მათ ჩაენაცვლებიან სარეზერვო სიის ახალი წევრები.

## 5.3 პროექტის შეფასების საკონსულტაციო ჯგუფი

ბორჯომის განვითარების ჯგუფის ფარგლებში უმნიშვნელოვანესი ორგანო არის პროექტის შეფასების საკონსულტაციო ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება შეფასებასა და რეკომენდაციების მიწოდებაზე განვითარების ჯგუფის დანარჩენი წევრებისთვის ქვე-პროექტების განაცხადების დაფინანსებასთან დაკავშირებით. პროექტის შეფასების საკონსულტაციო ჯგუფი არ იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას პროექტის დაფინანსებასთან დაკავშირებით, ამ გადაწყვეტილებას იღებს მთელი განვითარების ჯგუფი.

პროექტის შეფასების საკონსულტაციო ჯგუფის წევრობასთან დაკავშირებით ჩატარდება კენჭისყრა განვითარების ჯგუფის შეხვედრებზე, რისი მიზანიაცაა დავრწმუნდეთ, რომ მონაწილე წევრებს გააჩნიათ ცოდნა და გამოცდილება იმ პროექტების შესახებ, რომელთაც ისინი აფასებენ. ამიტომ პროექტის შეფასების საკონსულტაციო ჯგუფის შემადგენლობა შეიძლება დროდადრო შეიცვალოს, რაც დამოკიდებულია შესაფასებელი ქვე-პროექტის განაცხადის სფეროზე. პროექტის შეფასების საკონსულტაციო ჯგუფში უნდა იყოს 7 წევრი და მინიმუმ სამი წევრი აფასებს თითოეულ კონკრეტულ განაცხადს.

<sup>7</sup> მას შემდეგ, რაც წევრთა რაოდენობა მიაღწევს 29-ს, დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ დატოვონ თავიანთი სახელი და საკონტაქტო ინფორმაცია „ლიდერ“ კოორდინატორთან. მათი მონაცემები შევა სარეზერვო სიაში და განიხილება, თუკი ჯგუფის წევრების რაოდენობა შემცირდება.

ზოგჯერ დამატებით შესაძლებელია დროებითი ექსპერტების დაქირავება, რომლებიც შეუერთდებიან პროექტის შეფასების საკონსულტაციო ჯგუფს, როდესაც პროექტის შეფასების საკონსულტაციო ჯგუფის თავდაპირველი წევრები კონკრეტულ განაცხადთან მიმართებაში ვერ აკმაყოფილებენ ექსპერტიზის საჭირო დონეს. პროექტის შეფასების საკონსულტაციო ჯგუფის წევრები გაივლიან სწავლებას და მიიღებენ დახმარებას, რათა მათი მხრიდან უზრუნველყოფილი იქნას განაცხადების სამართლიანი და გამჭვირვალე შეფასება.

#### 5.4 ბორჯომის განვითარების ჯგუფის როლი ქვე-პროექტების შერჩევაში

ბორჯომის განვითარების ჯგუფი არის გადაწყვეტილების მიმღები მთავარი ორგანო ქვე-პროექტის ინტერესთა გამოხატვისა და სრული განაცხადის მიღებასთან დაკავშირებით. პროექტის შეფასების საკონსულტაციო ჯგუფი წარუდგენს თავის რეკომენდაციებს განხილულ და შეფასებულ პროექტებთან დაკავშირებით განვითარების ჯგუფს. ბორჯომის განვითარების ჯგუფი ჩაატარებს კენჭისყრას თითოეულ პროექტთან დაკავშირებით და თუკი ბორჯომის განვითარების ჯგუფის უფლებამოსილი წევრების უმრავლესობა ხმას მისცემს პროექტის სასარგებლოდ, ის პროექტი, სავარაუდოდ, შერჩეული იქნება. თუ განვითარების ჯგუფის რომელიმე წევრს აქვს ინტერესთა კონფლიქტი (იხ 5.5 პარაგრაფი) კონკრეტულ განაცხადთან დაკავშირებით, მაშინ ეს უნდა განაცხადოს და თავი შეიკავოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში. იმ შემთხვევაში, თუ განვითარების ჯგუფის წევრებს გაუჭირდებათ გადაწყვეტილების მიღება პროექტის შეფასების საკონსულტაციო ჯგუფის რეკომენდაციებზე დაყრდნობით, მაშინ მათ შეუძლიათ მოითხოვონ შეხვედრა განმცხადებელთან, რათა ამის შემდეგ მიიღონ საბოლოო გადაწყვეტილება. განვითარების ჯგუფის მიერ განაცხადის მიღების შემდეგ „ლიდერ“ კოორდინატორი პროექტის განაცხადებს წარუდგენს ანგარიშვალდებულ ორგანოს საბოლოო განხილვისთვის, რათა უზრუნველყოს, რომ ყველა პროცედურა სათანადოდ იქნა დაცული.

#### 5.5 ინტერესთა კონფლიქტი

ინტერესთა კონფლიქტი ჩვეულებრივ განისაზღვრება, როგორც კონფლიქტი პიროვნების კერძო ინტერესებსა და ოფიციალურ მოვალეობებს შორის, როდესაც მას გადაწყვეტილების მიღება აქვს მინდობილი. ამ შემთხვევაში ბორჯომის განვითარების ჯგუფის ყველა წევრის მოვალეობაა უზრუნველყოს, რომ ვერავითარმა პირადმა ინტერესმა ვერ მოახდინოს გავლენა მათი, როგორც განვითარების ჯგუფის წევრის, ფუნქცია-მოვალეობის შესრულებაზე და ქვე-პროექტის შეფასებისა და შერჩევის პროცესზე.

ბორჯომის განვითარების ჯგუფის წევრები ახდენენ ინტერესთა რეგისტრაციას, რომლის დროსაც ყოველი წევრი განაცხადებს თავის ინტერესს დასაქმებას, კომერციულ საქმიანობასა და რომელიმე გაერთიანების, დაწესებულების ან ორგანიზაციის წევრობასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, განვითარების ჯგუფის ყველა წევრი ხელს მოაწერს ქვევის კოდექსის დოკუმენტს, რომელიც დეტალურად ასახავს იმ სტანდარტებს, რომელიც უნდა დაიცვას წევრმა თავისი სამუშაოს შესრულებისას.

ქვევის კოდექსის თანახმად, ქვე-საგრანტო განაცხადის, შეფასების და შერჩევის პროცესის დროს ბორჯომის განვითარების ჯგუფის წევრი არ შეიძლება ჩართული იყოს არანაირი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, როდესაც შემოსულია განაცხადი ნათესავის, ბიზნეს სუბიექტის ან ორგანიზაციისაგან, რომელთანაც განვითარების ჯგუფის წევრი მჭიდროდ არის დაკავშირებული. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი, მაშინ ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის წევრმა თავი უნდა აარიდოს ამ ქვე-პროექტის განხილვას, შეფასებასა და შერჩევაში რაიმე სახის ჩარევისაგან. ინტერესთა კონფლიქტის შესახებ მტკიცებულება შეიძლება

იყოს მიზეზი ანგარიშვალდებული ორგანოსთვის (იხ. 6.4 პარაგრაფი), რომ უარი თქვას შერჩეული განაცხადის საბოლოო დამტკიცებაზე.

ბორჯომის განვითარების ჯგუფის წევრებმა თავიანთი სამუშაოს შესრულებისას კონფიდენციალურად უნდა შეინახონ პროექტთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია და დოკუმენტაცია, ვიდრე ქვე-პროექტი სრულად არ დამტკიცდება. განვითარების ჯგუფის არცერთ წევრს არა აქვს უფლება მიიღოს საჩუქრები და ძღვენი მესამე მხარისგან ან შესთავაზოს ისინი სხვას, რამაც შეიძლება საფრთხის ქვეშ დააყენოს მისი პირადი გადაწყვეტილება და მიუკერძოებლობა განვითარების ჯგუფის წარმომადგენლის ფუნქციების შესრულებისას. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს რაიმე ეჭვი ამ საკითხთან დაკავშირებით, განვითარების ჯგუფის წევრმა კონსულტაციები უნდა გაიაროს „ლიდერ“ კოორდინატორთან.

## 5.6 „ლიდერ“ კოორდინატორი

„ლიდერ“ კოორდინატორი ასრულებს ბორჯომის განვითარების ჯგუფის სამდივნოს მოვალეობას. იგი უზრუნველყოფს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას და ეხმარება ბორჯომის განვითარების ჯგუფის გამართულ ფუნქციონირებას. „ლიდერ“ კოორდინატორი იქნება ანაზღაურებადი თანამდებობა, მაგრამ მას არ ექნება გადაწყვეტილების მიღების უფლება ქვე-პროექტების შერჩევისას. „ლიდერ“ კოორდინატორის ძირითადი ფუნქციები და პასუხისმგებლობები შემდეგია:

- ბორჯომის განვითარების ჯგუფის შეხვედრების კოორდინირება და ზედამხედველობა;
- კრების ოქმების მომზადება და მათი გადაცემა განვითარების ჯგუფის წევრებისათვის;
- ბორჯომის განვითარების ჯგუფის საჯარო და კერძო სექტორის წევრებს შორის სწორი თანაფარდობის უზრუნველყოფა გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- ბორჯომის განვითარების ჯგუფის წევრებისთვის სემინარების, ტრენინგებისა და სასწავლო ტურების ორგანიზება;
- ბორჯომის განვითარების ჯგუფის ხელშეწყობა ქვე-პროექტების განაცხადის შესახებ ინფორმაციის გავრცელებასა და შეხვედრების ჩატარებაში;
- განმცხადებლების დახმარების უზრუნველყოფა განაცხადებისა და დამხმარე დოკუმენტაციის მომზადებაში;
- ყველა ქვე-პროექტის განაცხადის მონაცემთა ბაზის შექმნა;
- ბორჯომის განვითარების ჯგუფის თავმჯდომარესა და ვიცე-თავმჯდომარეებთან ერთად ინტერესთა გამოხატვას განაცხადების გაანალიზება და შეფასება (იხ. 6.3 პარაგრაფი) და შედეგების გაცნობის უზრუნველყოფა ბორჯომის განვითარების ჯგუფისთვის მათ დასამტკიცებლად ან უარსაყოფად;
- სრული განაცხადების დახარისხებისა და მოწესრიგების უზრუნველყოფა, თითოეული განმცხადებლისა და საპროექტო ადგილის მონახულება, დამატებითი ინფორმაციისა და პროექტის იდეასთან დაკავშირებით განმარტებების მისაღებად;
- დამატებითი წერილობითი ინფორმაციის მიწოდება პროექტის შეფასების საკონსულტაციო ჯგუფისათვის თითოეული პროექტის შესახებ, რომელიც უნდა შეფასდეს;
- განსაზღვრავს, არის თუ არა რაიმე სახის ინტერესთა კონფლიქტი გადაწყვეტილების მიღებისას და უფლებამოსილია, გამორიცხოს განვითარების ჯგუფის ნებისმიერი წევრი ქვე-პროექტის შერჩევის პროცესიდან;
- აწარმოებს და ანახლებს ინტერესთა რეესტრს;
- იღებს ახალ განაცხადებს ბორჯომის განვითარების ჯგუფის წევრობაზე და ახორციელებს ცვლილებებს საჭიროების მიხედვით.

## 5.7 ანგარიშვალდებული ორგანო

ანგარიშვალდებული ორგანო არის ფინანსების განმკარგველი ორგანო. მას არა აქვს გადაწყვეტილების მიღების უფლება ქვე-პროექტების შერჩევასა. ანგარიშვალდებულ ორგანოს ევალება ქვე-პროექტების შერჩევასთან დაკავშირებული ყველა პროცედურის ზედამხედველობა, რაც უზრუნველყოფს ამ პროცესის სათანადოდ, ღიად და გამჭვირვალედ ჩატარებას. იმ შემთხვევაში, თუ ანგარიშვალდებული ორგანო დააფიქსირებს ნებისმიერი სახის გადახვევას შეთანხმებული პროცედურებიდან, ან ნებისმიერ ინტერესთა კონფლიქტს, მას აქვს უფლება უარი თქვას შეთანხმების ხელმოწერაზე განმცხადებელთან და არ დააფინანსოს ქვე-პროექტი.

მას შემდეგ, რაც გაფორმდება ხელშეკრულება განმცხადებელთან, ანგარიშვალდებული ორგანო პასუხისმგებელია ქვე-გრანტის განაცხადის შესახებ წინადადებაში ჩამოთვლილი ყველა დამტკიცებული ნივთის შესყიდვაზე ან კომპანიების მომსახურების შესახებ კონტრაქტის გაფორმებაზე ნებისმიერი სახის სამშენებლო ან სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად, რომლებიც უნდა შესრულდეს პროექტის ფარგლებში. ანგარიშვალდებული ორგანო ადგილობრივ სამოქმედო ჯგუფთან ერთად დააკვირდება ქვე-პროექტის განხორციელებას და შეაფასებს პროექტის შედეგებს.

## 6. საგრანტო განაცხადის პროცესი

### 6.1 ანიმაციის პროცესი

საგრანტო აპლიკაციის პროცესის დაწყებამდე განხორციელდება ამომწურავი ანიმაციური პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის გავრცელებას ბორჯომის მუნიციპალიტეტის ფართო აუდიტორიისთვის. უპირველესად, გამოიცემა ადგილობრივი სამოქმედო გეგმა, რომლის ასლებიც ხელმისაწვდომი იქნება ბორჯომის თვითმმართველობის სამსახურებში, თითოეულ ადგილობრივი ადმინისტრაციულ ოფისში, ადგილობრივ სამთავრობო უწყებებსა და არასამთავრობო ორგანიზაციების ოფისებში. დოკუმენტი ასევე ხელმისაწვდომი იქნება ელექტრონულად, რომელიც განთავსდება ბორჯომის მუნიციპალიტეტის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ვებ-გვერდზე. ასევე დაიბეჭდება ადგილობრივის სტრატეგიული გეგმის მოკლე ვერსია, რომელიც ძირითადად მოიცავს სტრატეგიული გეგმის მიზანს, ამოცანებს და შედეგებს. არსებული დოკუმენტი ასევე ხელმისაწვდომი იქნება საზოგადოებისთვის. ამ პროცესის გასაძლიერებლად ბორჯომის თითოეულ თემში გაიმართება საზოგადოებრივი საორიენტაციო შეხვედრები, სადაც დაინტერესებულ განმცხადებლებს ექნებათ შესაძლებლობა მიიღონ ყველა ის საჭირო ინფორმაცია, რომელიც შეეხება განაცხადის პროცესებს, ვადებს, პროექტის წარდგენას, შეფასებას და ა.შ. მონაწილეები ამავე შეხვედრაზე მიიღებენ განმარტებას, თუ როგორ უნდა შეავსონ და წარადგინონ ინტერესთა გამოხატვის განაცხადის ფორმა. გარდა, შეხვედრებისა საგრანტო კონკურსზე ინფორმაცია გავრცელდება ასევე ადგილობრივი მედიის საშუალებით, რომელიც უზრუნველყოფს ფართო მასების ინფორმირებას.

### 6.2 საგრანტო თანხები და თანადაფინანსება

საგრანტო თანხები ხელმისაწვდომი იქნება მხოლოდ წარმატებული საპროექტო განცხადებების მხარდასაჭერად. მინიმალური საგრანტო თანხა შეადგენს **2,500 ლარს**, მაქსიმალური თანხა კი - **150,000 ლარს**, რომელიც გაიცემა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, ხოლო საშუალო დაფინანსება განისაზღვრება **50,000 ლარის** ოდენობით. განმცხადებელს მოეთხოვება ფულადი თანამონაწილეობა, რომელს ოდენობაც დამოკიდებული იქნება განმცხადებლის სტატუსზე.

ნატურით თანადაფინანსება არ მიიღება და არც მოითხოვება. თანადაფინანსება შემდეგი სახით მოეთხოვებათ სხვადასხვა განმცხადებლებს:

- კომერციული საწარმოები ( შპს, კერძო მეწარმეები და ა.შ) - მინიმუმ 40%
- თვითმმართველი და სამთავრობო ორგანოები - მინიმუმ 40%
- სასოფლო კოოპერატივები - მინიმუმ 25%
- არასამთავრობო ორგანიზაციები, ასოციაციები, და სხვა ორგანიზაციები - 10%
- ადგილობრივი თემები და ფიზიკური პირები - მინიმუმ 10%

თანადაფინანსების პროცენტულობა გამომდინარეობს მთლიანი ბიუჯეტიდან. მაგ. თუ პროექტის მთლიანი ბიუჯეტი შეადგენს 40 000 ლარს მაშინ მისი 50% იქნება 20 000 ლარი. თანადაფინანსება შეიძლება იყოს თვით განმცხადებლის საკუთარი თანხა ან სხვა დონორის ან ფონდის. განმცხადებლის თანადაფინანსების თანხა ( გარდა სამთავრობო და რეგულაციებით შეზღუდული ორგანიზაციებისა) უნდა გადარიცხოს პასუხისმგებელ ორგანიზაციის ანგარიშზე და საგრანტო თანხასთან ერთად გამოიყენება საპროექტო განაცხადის სიაში ჩამონათვალის შესყიდვისთვის. ( იხილეთ ნაწილი 6.4)

### 6.3 განაცხადის წარდგენისა და შერჩევის პროცესი

იმისათვის, რომ წარდგენილი საპროექტო განაცხადი შეირჩეს დაფინანსებისთვის თითოეულმა განმცხადებელმა უნდა გაიაროს სამი ეტაპი. ყოველ ეტაპზე იქნება შერჩევის პროცესი და თითოეული პროექტი საბოლოოდ დამტკიცებული ან უარყოფილი იქნება განვითარების ჯგუფის უმრავლესობის გადაწყვეტილების საფუძველზე. ეს სამი ეტაპია:

1. ინტერესთა გამოხატვის წარდგენა
2. სრული განაცხადის წარდგენა
3. ტექნიკური შეფასება

#### პირველი ეტაპი: ინტერესთა გამოხატვა

ინტერესთა გამოხატვის ფორმა ((EOI) არის მარტივი ფორმა, რომელიც განთავსებულია და ხელმისაწვდომია შესაბამის ვებ-გვერდზე, სადაც განმცხადებელს შეეძლება განათავსოს პროექტის იდეა. განმცხადებელი ამ ფორმის საშუალებით იძლევა ქვემოთ მოცემული სახის ინფორმაციას, რომელის შეფასების საფუძველზეც გაირკვევა განმცხადებელი შერჩეული იქნება თუ არა პროექტის სრული განაცხადის ფორმის წარდგენისთვის.

#### ინტერესთა გამოხატვის შინაარსი

ინტერესთა გამოხატვის ფორმის შინაარსი	შენიშვნა
განმცხადებლის სახელი და საკონტაქტო ინფორმაცია	განმცხადებელი ორგანიზაციის, ბიზნესის ან კერძო პირის სახელი და მათი მისამართი, ტელეფონი, ელექტრონული მისამართი და ვებ-გვერდი ( არსებობის შემთხვევაში)
განმცხადებლის იურიდიული სტატუსი	განმცხადებლის რეგისტრირებული სტატუსი ბიზნესად (შპს, ინდ. მეწარმე, კოოპერატივი და ა.შ.)

	არასამთავრობო ორგანიზაციად, ასოციაციად ან ფიზიკური პირად
პროექტის დასახელება	პროექტის მოკლე სათაური ( მაქსიმუმ 10 სიტყვით)
პროექტის ადგილმდებარეობა	ბორჯომის მუნიციპალიტეტის თემი, სოფელი ან ქალაქი სადაც პროექტი უნდა განხორციელდეს
პროექტის ხანგრძლივობა	რამდენი დღე/თვე დასჭირდება პროექტს დასრულებისთვის
კავშირი ადგილობრივი სამოქმედო სტრატეგიასთან	განმარტება პროექტის თანხვედრაზე ამოცანასთან (ან ამოცანებთან) და შედეგთან (ან შედეგებთან)
საპროექტო იდეის მოკლე აღწერილობა	პროექტის შესახებ ინფორმაცია, რა არის გასაკეთებელი და რა სარგებელი შეიძლება მოიტანოს ამ პროექტმა ( მაქსიმუმ 200 სიტყვით
პროექტის სავარაუდო ღირებულება	მთლიანი პროექტის სავარაუდო ღირებულება ლარში
ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფისგან პროექტისთვის მოთხოვნილი თანხა	პროექტის განხორციელებისთვის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფისგან მოთხოვნილი თანხის ოდენობა
პროექტის თანადაფინანსების თანხის ოდენობა და წყარო(ები)	პროექტის განხორციელებისთვის განმცხადებლის ან სხვა დონორის მიერ გაღებული თანამონაწილეობის თანხის ოდენობა

განმცხადებელმა უნდა შეავსოს ინტერესთა გამოხატვის ფორმის ყველა ზემოთ მოცემული პუნქტი და წარადგინოს ელექტრონულად შესაბამის ელექტრონულ მისამართზე არაუგვიანეს დანიშნული ვადისა. ქალაქში დაწერილი ვერსიები არ მიიღება. დადგენილი ზღვრული ვადის გასვლის შემდეგ განაცხადები არ მიიღება. განაცხადების მიღების შემდეგ განმცხადებელი მიიღებს შეტყობინებას განაცხადის მიღების შესახებ.

#### ინტერესთა გამოხატვის შეფასება

ინტერესთა გამოხატვის განაცხადი განიხილება და შეფასდება ლიდერ კოორდინატორის, განვითარების ჯგუფის თავმჯდომარის და ვიცე თავმჯდომარეების მიერ და წარედგინება განვითარების ჯგუფს დასამტკიცებლად ან უარისთვის. იმ შემთხვევაში თუ რომელიმე განაცხადის მიმართ გამოიკვეთება თავმჯდომარის ან ვიცე თავმჯდომარის ინტერესთა კონფლიქტი, მაშინ ლიდერ კოორდინატორი დაასახელებს და ჩაანაცვლებს ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფიდან სხვა რომელიმე წევრს. ლიდერ კოორდინატორი, თავმჯდომარე და ვიცე-თავმჯდომარეები განაცხადების შეფასებისთვის გამოიყენებენ 6 ძირითად კრიტერიუმს. ინტერესთა გამოხატვის შეფასების შემდეგი კრიტერიუმებია:

- 1. გეოგრაფიული ადგილმდებარეობა:** პროექტი უნდა განხორციელდეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საზღვრების ფარგლებში
- 2. საგრანტო თანხა:** მოთხოვნილი საგრანტო თანხა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 2 500 ლარს და არაუმეტეს 150 000 ლარს
- 3. პროექტის ხანგრძლივობა:** პროექტის განხორციელება უნდა დასრულდეს 2017 წლის 30 ივნისამდე
- 4. თანადაფინანსება:** თანადაფინანსების თანხის ოდენობა უნდა შეესაბამებოდეს განმცხადებლის სტატუსს ( იხილეთ ნაწილი 6.2) და უნდა იყოს სანდო და შემოწმებული წყარო



5. **კავშირი ადგილობრივ სამოქმედო სტრატეგიასთან:** განმცხადებელმა უნდა აჩვენოს, რომ პროექტი აკმაყოფილებს ადგილობრივი სამოქმედო სტრატეგიის მინიმუმ ერთ ამოცანას და ერთ შედეგს. მისაღებია ასევე თუ კი პროექტი დააკმაყოფილებს სტრატეგიის ერთზე მეტ ამოცანებს და შედეგებს.
6. **განმცხადებლის იურიდიული სტატუსი:** მომგებიანი და კომერციული პროექტის განმცხადებელი უნდა იყოს რეგისტრირებული როგორც იურიდიული პირი. ხოლო არაკომერციული პროექტების განმცხადებელს არ საჭიროებს იურიდიული სტატუსს.

იმ შემთხვევაში თუ ბორჯომის განვითარების ჯგუფის მიერ განაცხადი არ დამტკიცდება მაშინ განმცხადებელი მიიღებს წერილობით ახსნა-განმარტებას უარის თქმის მიზეზის შესახებ. თუ ინტერესთა გამოხატვის განაცხადი დამტკიცდება მაშინ განმცხადებელი გადადის მეორე ეტაპზე და შეეძლება სრული განაცხადის წარდგენა.

შენიშვნა: ინტერესთა გამოხატვის განაცხადის დამტკიცება არ ნიშნავს რომ განმცხადებელი მიიღებს გარანტირებულ დაფინანსებას. ბორჯომის განვითარების ჯგუფს აქვს აბსოლუტური დისკრეციული უფლება მიიღოს გადაწყვეტილებ განაცხადის დაფინანსებაზე.

### მე-2 ეტაპი: სრული განაცხადი

როდესაც ინტერესთა გამოხატვის განაცხადი მიიღება, განმცხადებელი მიწვეული იქნება სააპლიკაციო სემინარზე. ამ სემინარზე განმცხადებელი მიიღებს სრულ ინფორმაციას სააპლიკაციო პროცესის შესახებ და აგრეთვე როგორ უნდა შეავსოს სრული განაცხადის ფორმა და ბიუჯეტის ნაწილი. ამავე სემინარზე ეცნობება განმცხადებელს თუ როდის იქნება განაცხადის წარდგენის საბოლოო ვადა. ამ ფორმის შინაარსი მდგომარეობს შემდეგში:

სრული განაცხადის ფორმა

სრული განაცხადის ფორმის შინაარსი	შენიშვნები
I და V განყოფილება იგივეა რაც ინტერესთა გამოხატვის განაცხადისთვის	განმცხადებლის სახელი, საკონტაქტო მონაცემები, ლეგალური სტატუსი, პროექტის სახელწოდება, ადგილმდებარეობა და ხანგრძლივობა
VI. ინფორმაცია განმცხადებლის გამოცდილების შესახებ	განმცხადებლის ისტორია და გამოცდილება რომელიც ორიენტირებულია პროექტის განაცხადზე.
VII. ადგილობრივ სტრატეგიულ გეგმასთან თანხვედრა	დეტალური განმარტება პროექტის კონტრიბუციის შესახებ რომელიც ხელს შეუწყობს ადგილობრივი განვითარების სტრატეგიული გეგმის ძირითადი მიზნის შესრულებას და მინიმუმ ერთი ამოცანის გადაჭრას
VIII. პროექტის დასაბუთება	განმარტება ამაჟამინდელ სიტუაციაზე და საჭიროებებზე ან მოთხოვნებზე რომელსაც ეს პროექტი დააკმაყოფილებს. ვინ ისარგებლებს ამით. დემონსტრირება თუ რა კონსულტაციები ან კვლევები ჩატარდა საჭიროებების და მოთხოვნების შესახებ.
IX. პროექტის სრული აღწერა	განმარტება თუ რა აქტივობები იქნება ჩატარებული და რა მეთოდებით.
X. პროექტის სამუშაო გეგმა	შევსებული სამუშაო გეგმა, ცხრილი რომელიც ასახავს თუ რა აქტივობები იქნება გატარებული, როდის და რამდენ ხანში?

XI პროექტის გავლენა	ინფორმაცია პროექტის მოსალოდნელი ეფექტის და მოსარგებლეების შესახებ.
XII გადანაცვლება/ცვლილება	განმარტება თუ რა უარყოფითი ეფექტი ან ცვლილება გამოიწვიოს შეთავაზებულმა პროექტმა არსებულ აქტივობებზე, ბიზნესზე ან ბაზარზე.
XIII. მდგრადობა	განმარტება თუ როგორ დაფინანსდება პროექტი მომავალში/ როგორ შეინარჩუნებს თავს და ვინ იქნება ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი.

სრული განაცხადის გარდა განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს სრული დეტალური ბიუჯეტი, რომელიც დაწვრილებით აღწერს თუ რა იქნება შეძენილი და ამ შენაძენის რეალური ფასი. ბიუჯეტი აგრეთვე უნდა შეიცავდეს ინფორმაციას განმცხადებლის თანადაფინანსების წვლილის შესახებ.

თუ განმცხადებელი არის კომერციული ორგანიზაცია მაშინ სამეწარმეო რეგისტრაციის დოკუმენტის ასლი უნდა იყოს თანდართული. აგრეთვე, თუ განმცხადებელი არის არასამთავრობო ორგანიზაცია ან ასოციაცია მაშინ სარეგისტრაციო დოკუმენტი და საკანონმდებლო აქტი უნდა იყოს წარმოდგენილი განაცხადთან ერთად.

**შენიშვნა:** ამავდროულად განმცხადებელი არაა ვალდებული წარმოადგინოს ისეთი დოკუმენტაცია როგორცაა ბიზნეს გეგმა, თანხის ბრუნვა, ელექტრონული ცხრილები (ბიზნეს აპლიკანტებისთვის) ან სამუშაოს მოცულობა და ტექნიკური გეგმა (სამშენებლო პროექტებისთვის) ან სხვა ამდაგვარი დოკუმენტაცია რადგან ასეთი დოკუმენტები საჭირო იქნება მე-3 ეტაპზე.

ყველა დოკუმენტაცია უნდა იყოს ელექტრონულად წარმოდგენილი შესაბამის ელექტრონულ მისამართზე დადგენილ ზღვრულ ვადებში. იმ შემთხვევაში თუ განაცხადი წარმოდგენილი იქნება დადგენილი ზღვრული ვადის შემდეგ, მაშინ იგი გაუქმდება და არ განიხილება ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის მიერ დასაფინანსებლად.

სრული განაცხადის შეფასება

„ლიდერ კოორდინატორი“ შეაგროვებს და ორგანიზებას გაუკეთებს სააპლიკაციო ფაილებს. შემდეგ იგი განახორციელებს სავსე ვიზიტს თითოეული განმცხადებლის პროექტზე რათა უფრო მეტი ინფორმაცია მოიპოვოს პროექტის იდეაზე და ნათელი გახადოს ბიუჯეტი ან ნებისმიერი სხვა ნაწილი პროექტისა რომელიც არ არის მკაფიო. ამ ვიზიტების შემდეგ „ლიდერ კოორდინატორი“ დაწერს მოკლე ანგარიშს რომელიც წარედგინება პროექტების შემფასებელთა ჯგუფს შეფასებისთვის და შემდეგ ეს ჯგუფი თავის რეკომენდაციებს მიცემს ბორჯომის განვითარების ჯგუფს. პროექტის შემფასებელთა ჯგუფი შეაფასებს თითოეულ მიღებულ პროექტს და დაუწერს ქულებს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

1. შეთავაზებული განაცხადის თანხვედრა ადგილობრივი განვითარების სტრატეგიულ გეგმის ამოცანებთან და შედეგებთან.
2. შეთავაზებული პროექტის შესრულებასთან დაკავშირებული, განმცხადებლის ცოდნა და გამოცდილება.
3. შეთავაზებული პროექტის განხორციელებისათვის საჭიროების ან მოთხოვნის არსებობის დასაბუთება.

4. მკაფიოდ განმარტებული პროექტის აღწერილობა და მის დადგენილ ვადებში შესრულების შესაძლებლობა.
5. პროექტის ზეგავლენის რეალისტური და ნათელი განმარტება.
6. გამართული მდგრადობის გეგმა
7. რეალისტური და გონივრული ბიუჯეტი.

თუ პროექტის შემფასებელთა ჯგუფი თვლის, რომ მათ არ ააქვთ საკმარისი ინფორმაცია პროექტების შესაფასებლად, მაშინ მათ შეუძლიათ აირჩიონ ეწვივნენ განმცხადებელს სავსე ვიზიტით ან განმცხადებელს სთხოვონ, რომ შეხვდნენ შემფასებელთა ჯგუფს რათა უფრო დეტალური განმარტებები გააკეთონ თავისი პროექტის შესახებ.

### სრული განაცხადის შერჩევა

ბორჯომის განვითარების ჯგუფი ჩაატარებს სპეციალურ შესარჩევ შეხვედრას, სადაც შემფასებელთა ჯგუფი წარმოადგენს თავის რეკომენდაციებს მათ მიერ შესწავლილ და შეფასებულ პროექტებზე. ბორჯომის განვითარების ჯგუფი ხმას მიცემს თითოეულ პროექტს სადაც ბორჯომის განვითარების ჯგუფის უფლების მქონე უმრავლესობის მიერ მოწონებული პროექტი გონივრულად იქნება შერჩეული. თუ ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის წევრები ფიქრობენ, რომ მათ არ შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება შემფასებელთა ჯგუფის რეკომენდაციებზე დაყრდნობით, მაშინ მათ შეუძლიათ მოითხოვონ შეხვედრა განმცხადებელთან იმისათვის რომ გაუადვილდეთ გადაწყვეტილების მიღება.

ყველა განმცხადებელი რომლის განაცხადიც დაწუნებული იქნება მიიღებს წერილობით შეტყობინებას „ლიდერ კოორდინატორისგან“, სადაც ეწერება ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის მიერ განაცხადის დაწუნების მიზეზი. ყველა შერჩეული განაცხადი (სადაც საჭიროა) გადავა მე-3 საფეხურზე სადაც მოხდება ტექნიკური განაცხადების დასრულება. იმ განაცხადების შემთხვევაში სადაც პროექტი არ საჭიროებს ტექნიკური შეფასებას ისინი დაუყოვნებლივ იქნება გადაგზავნილი პასუხისმგებელ ორგანიზაციაში (იხილეთ 6.4 სექტორი) საბოლოო დამოწმებისთვის რომ მოეწეროს ხელი საგრანტო შეთანხმებას.

### **მე-3 ეტაპი: ტექნიკური შეფასება**

ტექნიკური შეფასების საფეხური სავალდებულოა შემდეგი ტიპის განაცხადებისთვის:

1. დამწყებ ან გასაფართოებელ ბიზნეს პროექტებზე
2. სამშენებლო ან სარეაბილიტაციო პროექტებზე

### დამწყები ან გასაფართოებელი ბიზნესები

იმ განაცხადებს რომლებიც თავაზობენ ბიზნესის გაფართოების პროექტებს ექნებათ მოთხოვნა, რომ ბორჯომის განვითარების ჯგუფს წარმოუდგინონ სრული ბიზნეს გეგმა რომელსაც თან ერთვის ნაღდი ფულის ბრუნვის დოკუმენტი და სხვა ფინანსური გეგმები. იმ ბიზნესებს რომლებსაც ეს შეუძლიათ შეასრულონ დახმარების გარეშე შეეძლება დაუყოვნებლივ წარმოადგინონ ეს დოკუმენტაცია დასამოწმებლად. ხოლო იმ ბიზნესებს რომლებსაც სჭირდებათ დამატებითი დახმარება, ჩაუტარდებათ უფასო ბიზნესის დაგეგმარების ტრეინინგი, რომლის შემდეგაც განმცხადებელს მიეცემა განსაზღვრული დრო რომ წარმადგინოს გეგმა. ყველა ბიზნეს გეგმა შეფასებული იქნება დამოუკიდებელი ბიზნეს კონსულტაციების შედეგად და მიღებული

რეკომენდაციებით რომელიც იქნება ბიზნეს გეგმების ეფექტურობასა და პრაქტიკულობაზე გადაცემა ბორჯომის განვითარების ჯგუფს საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

#### სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოები

იმ განაცხადებზე რომელიც თავაზობენ მშენებლობას ან სარეაბილიტაციო სამუშაოებს, განმცხადებლისათვის სავალდებულო იქნება, რომ ბორჯომის განვითარების ჯგუფს წარმოუდგინოს შესაბამისი სახის დოკუმენტები და ანგარიშები. დამატებით ამის გარდა განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს მიწის მესაკუთრის მოწმობა და ყველა საჭირო სამშენებლო ნებართვა. ყველა ეს დოკუმენტაცია უნდა იქნეს წარმოდგენილი განმცხადებლის ხარჯებით და ადგილობრივი ბორჯომის განვითარების ჯგუფის მიერ განსაზღვრულ ვადაში. ეს დოკუმენტები წარმოედგინება ინჟინერ კონსულტანტს, რომელიც ბორჯომის განვითარების ჯგუფის სახელით განიხილავს ამ დოკუმენტებს და თუ მისი რეკომენდაციები, თანდართული შეფასებებით და ანალიზებით დაასაბუთებენ რომ ყველა დოკუმენტი და გეგმა მისაღებია, ამის შემდეგ ბორჯომის განვითარების ჯგუფი დაამტკიცებს ქვე-პროექტს.

#### **6.4 ხელშეკრულებაზე ხელმოწერა და შესყიდვების პროცესი.**

როდესაც ბორჯომის განვითარების ჯგუფი დაამტკიცებს ქვე-პროექტს იგი „ლიდერ კოორდინატორის“ მეშვეობით წარმოედგინება პასუხისმგებელ ორგანიზაციას რომ საბოლოოდ გადაამოწმოს ზემოთ აღწერილი პროცედურები შესაბამისად იქნა შესრულებული თუ არა. იმ შემთხვევაში თუ პასუხისმგებელ ორგანიზაცია გამოავლენს შეთანხმებული პროცედურების რაიმე დარღვევას ან ინტერესთა კონფლიქტს მას ააქვს უფლება უარი თქვას ქვე-პროექტის საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერაზე. იმ შემთხვევაში თუ განაცხადი და შერჩევითი პროცედურები წესრიგშია მაშინ პასუხისმგებელი ორგანიზაცია ხელს მოაწერს საგრანტო ხელშეკრულებას წარმატებული ქვე-პროექტებისთვის. საგრანტო ხელშეკრულება განსაზღვრავს მოვალეობებს და პასუხისმგებლობებს ორივე მხარისათვის, იმისათვის რომ მოხდეს პროექტის შესრულება და დაფინანსება ხელშეკრულების ვადებში და პირობებში.

როდესაც საგრანტო ხელშეკრულებას მოეწერება ხელი, განმცხადებელმა უნდა გადარიცხოს თანადაფინანსება პასუხისმგებელი ორგანიზაციის ანგარიშზე და ეს თანადაფინანსება საგრანტო თანხასთან ერთად გამოიყენება განმცხადებლის ბიუჯეტის სიაში ჩამონათვალის შესაძენად. ყველა შესყიდვა განმცხადებლისათვის განხორციელდება პასუხისმგებელი ორგანიზაციის მიერ, რა თქმა უნდა განმცხადებელთან კონსულტაციების შემდეგ. სადაც სამშენებლო ან სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასრულებლად სპეციფიკური შესყიდვაა საჭირო იქ პასუხისმგებელი ორგანიზაცია განმცხადებელთან თანდასწრებით ჩაატარებს ტენდერს რათა შეარჩიოს სამშენებლო კომპანიის სერვისი. ყველა შესყიდვის და სამშენებლო საქმიანობის დასრულების შემდეგ, ყველა ქონება, კეთილ მოწყობილობა და ინფრასტრუქტურა გადაეცემა განმცხადებელს, ვინც იქნება პასუხისმგებელი მათ სამომავლო გამოყენებაზე და შენახვაზე.

## 6.5 შერჩევის გამჭვირვალობა და საჩივრების მექანიზმი

როგორ ზემოთ არის აღწერილი, ყველა ინფორმაცია განაცხადებზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ მიეწოდება პერსონალურად განმცხადებელს. ყველა გამარჯვებული განაცხადი, დასაფინანსებელი პროექტის აღწერილობასთან ერთად აიტვირთება შესაბამის ვებ-გვერდზე. ხოლო ყველა უარყოფილი განაცხადის წარმომდგენელს „ლიდერ კოორდინატორი“ წერილობითი სახით მიაწოდებს დეტალურ ინფორმაციას იმ მიზეზების შესახებ რატომაც განაცხადი იქნა შერჩერებული. ყველა იმ განმცხადებელს ვინც თვლის, რომ მათი პროექტი არასამართლიანად იქნა უარყოფილი ან შესაბამისი პროცედურები არ იყო დაცული, შეუძლია მიმართოს პასუხისმგებელ ორგანიზაციას გასასაჩივრებლად, რომელზეც ორგანიზაცია დამოუკიდებლად მოიპოვებს დამატებით ინფორმაციას და მიაწოდებს განმცხადებელს. თუ საჩივარს ექნება ძლიერი არგუმენტები, მაშინ პასუხისმგებელი ორგანიზაცია მიმართავს ბორჯომის განვითარების ჯგუფს შემდგომი განხილვებისთვის და გარკვევს თუ რა ზომები შეიძლება მიიღოს უარყოფილი განაცხადის კვლავ პროგრამაში ჩასართავად.

## 6.6 განაცხადების, შეფასებების და შერჩევის პროცესების გზამკვლევი

